

ბაპბასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი მრავალპარტიული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14°).

№ 7-14

ივლისი 1938.

№ 7-14

უიწაარსი :

- ჰაიდარ ბამმატ — სომხური სულსკვეთებანი
 ვლ. ახმეტელი — ჩვენი საგარეო პოლიტიკა
 გრ. დიასამიძე — ჩვენი მშვიდობიანობისათვის
 მიხეილ კელია — ჩვენი „მოლაღატეობა“ და ბ. ნ. ჟორდანიას
 „პატრიოტობა“
 დავით საღირაშვილი — გაბზარულს გატეხილი სჯობია
 დინარელი — კონფედერაციის მარტივი კულტურისათვის
 ვლ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ
 პრესა —
 ზურაბ ციციშვილი — ფიც - დადებულნი — ეპიზოდი 4 მოქმედებად
 და 6 სურათად
 რევაზ გაბაშვილი — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
 ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პანაშვიდი
 მიხ. კაუხჩიშვილი — წერილი რედაქციის მიმართ

სომხური სულსკვეთებანი

ჟურნალ „კავკაზის“ უკანასკნელ ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ ბევრი ამონაწერი სომხური ემიგრანტული პრესიდან და ჩვენი შეხედულებანი ამ საკითხზედ.

სომხურ განწყობილებათა უფრო სრული და მიუდგომელი გა-



შუქების მიზნით, ჩვენ ამოვწერეთ შეხედულებანი ყველაზედ ავტორიტეტული პარტიებისა, რომელნიც ჩემობენ სომხის ერის ხელმძღვანელობას. ასეთი პარტია ორია: ყველა კავკასიელისათვის ცნობილი პარტია „დაშნაკცუთიუნი“, რომელსაც ხელმძღვანელობენ, როგორც ამბობენ, წინანდებურად კავკასიელი სომხები და პარტია „რამკავარ“, უმთავრესად გამომხატველი ოსმალეთიდან გამოსულ სომხების სულიკვეთებისა.

მოგვყავდა რა უკომენტარიოდ, ხანდახან სრულიად მიუღებელი კილოიანი წერილები „უსაბერ“-ისა, „ფაიქარ“ და „აპაგა“-სი, ჩვენ გამოვთქვით გულწრფელი კმაყოფილება, რომ სომხურმა პოლიტიკურმა საზოგადოებრივობამ დაარღვია, ჩვენთვის სამწუხარო სიჩუმე და შესაფერ ყურადღებას აქცევს ახლა — სომეხ - კავკასიის ურთიერთობის პრობლემას.

ჩვენი ჟურნალი — პატიოსანი და არა პირმოთნე მსახური კავკასიელ ერთა პოლიტიკური განთავისუფლებისა და მათი შინაგანი კონსოლიდაციისა, — სომხურ მწვავე პრობლემას მუდამ უდგებოდა და რჩება დღესაც, გულითადი და თანამგრძნობი... როგორც უახლოესი მოწმე სასტიკი ისტორიული დრამისა, რომელიც დაატყდა სომხის ერს. ჩვენ გვესმის რთული ფსიქოლოგიური კომპლექსი, რომელსაც უნდა ანგარიში გაუწიონ მისმა პოლიტიკურმა ბელადებმა, ორიენტაციისა და საზღვრების საკითხის გადაწყვეტისას, — ასეთს კამათს რომ იწვევს კავკასიელთა პოლიტიკურ ემიგრაციაში...

Du choc des opinions jaillit la vérité ამბობენ ფრანგები.

ანდაზა გონიერი და სამართლიანია. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ნამდვილი იდეური განსხვავება, როცა მოკამათეთ სურთ მიუხვდნენ ერთმანეთს და დაარწმუნონ. როდესაც მოკამათეთ მინიმალურად მაინც სჯერათ მოწინააღმდეგის გულწრფელობა და ეკამათებიან იმას, რასაც ეს მოწინააღმდეგე სინამდვილეში სწერს ან ამბობს და არა იმას, რასაც თითონ მიუგდებენ და მიაწერენ.

ლოიალობის ასეთი მცირე პირობა რომ იყოს, ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას შემთხვევითსა და პირად გამაღიზიანებელ გამოთქმებს, რომელიც წამოსცდებათ, დისკუსიის დროს, ჩვენს მოპირდაპირეთ. პირიქით, ერთგვარი ტემპერამენტი საკუთარი დებულების დაცვაში და მოწინააღმდეგეს „განადგურებაში“, ხანდახან აძლევს პოლიტიკურ კამათს მარჩილსა და სიცოცხლეს. ჯანსაღი პოლემიკა არა მარტო დასაშვებია, არამედ სასურველიც არის.

მაგრამ არსებობს საზღვარი, რომელსაც არც ერთ ღირსეულ ბეჭდვით ორგანოს უფლება არა აქვს გადასცდეს. საზღვარი, რომლის იქით ყოველნაირი დისკუსია ხდება მორალურად შეუძლებელი და პრაქტიკულად უაზრო. ამ საზღვარს უკვე დიდი ხანია მიაღწია (და გადასცდა) ზოგიერთი ორგანო ქართული ემიგრანტული პრესისა, მენშევიკების ინსპირაციით, მუსავატის „ყურტულუმ“ზედ რომ არა ვსთქვათ რა, გაჩენიდანვე უბრალო ლიტერატურულ სანაგვეს რომ წარმოადგენს.

ძალიან გვეშინია, რომ ეს ცუდი მაგალითი არ გადაედოს სომხურ პრესასაც. ამ შიშს იწვევს მეტადრე „უსაბერი“.

ამ დიდმა გაზეთმა, რომელიც „დაშნაკცუტიუნის“ უმთავრესი ორგანოთაგანია, 12 იანვრის ნომერში სცნო, რომ ორიენტაციისა და საზღვრების საკითხში და აგრეთვე მომავალი კავკასიის კონფედერაციის შინაგან მოწყობაში, ე.ი. ყველა უმთავრეს სასიცოცხლო კავკასიურ საკითხში — ჩვენ ჟურნალსა აქვს „დღიდან დაარსებისა, საკუთარი მკაფიო და გარკვეული შეხედულება“.

ამ შეხედულებას „უსაბერი“ აქვე აცნობს თავის მკითხველებს ზედმიწევნითი სისწორით. ამისათვის გულწრფელ მადლობას უძღვნით „უსაბერს“.

გაცილებით ნაკლებად უმაღლით მეორე დღის მოწინავე წერილის გამო, რადგან პატივცემული გაზეთი აქ უკვე სტოვებს თავდაჭერილ და ღირსეულ კილოს და გადადის უხეშ სიყალბესა და ცუდი სუნის ინსინუაციებზედ. ასე მაგალითად: ლაპარაკობს რა ოსმალეთ - კავკასიის საზღვრების პოზიციებზედ ჟურ. „კავკაზისა“, აცხადებს:

...„განსაკუთრებით მხოლოდ ამ საკითხში (ყარსის ხელშეკრულება) „კავკაზს“ არ მოეძებნება არც ერთი სიტყვა კრიტიკისა საბჭოების მიმართ... გადასაშინჯია ყველა ხელშეკრულება, გარდა ყარსისა. გასაგებიცაა თუ რატომ. ლაპარაკი ყარსის ხელშეკრულების წინააღმდეგ — ნიშნავს მოქმედებას ოსმალეთის ინტერესთა წინააღმდეგ და ბამატი „ყველაზედ უანგარო ღარიბი“ კავკასიურ ემიგრაციაში, გახდა ოსმალეთის „უფასო ვეჭილად“ და იცავს თავისი მოქნილი კალმით მის შელახულ უფლებას...“

არ ვიცით თუ საჭიროა მოვაგონოთ, „კავკაზის“ მკითხველთ, რომ არავინ და არასოდეს ამ ფურცლებზედ არ ახდენდა რეაბილიტაციას ყარსის ხელშეკრულებისას. არავინ და არასოდეს არ გამოდიოდა დამცველად „ოსმალეთის შელახულ უფლებებისა“. თავისი ინტერესების დასაცავად — სომხების, ქართველების და მთელი კავკასიის პრეტენზიებისაგან, ოსმალეთსა აქვს საკმაოდ მძიმე არგუმენტები და ბამატის „მოქნილი კალამი“ არ ესაჭიროება.

ეს სურვილი, უსათუოდ მოგვაწერონ ასეთი სასაცილო და უგუნური როლი, სრულებით არ ამტკიცებს გონებამახვილობას და არგუმენტაციის სიმდიდრეს ჩვენი მოწინააღმდეგეებისას.

წინა დღით „უსაბერი“ სწერდა „კავკაზის“ დებულებაზედ საზღვრების შესახებ:

„ეს ორგანო იცავს აზრს, რომ კავკასიის ერები უნდა გამოდიოდნენ იმ მდგომარეობიდან, რომელიც არსებობს დღეს (ხაზი „უსაბერის“ა). უფრო ზედმიწევნით — მათ უნდა სცნონ საბოლოოდ და სავალდებულოდ ყარსის ხე-



ლშეკრულობა 1921 წ. არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არც ოსმალეთთან, არც ირანთან“.

არც დადასტურებასა და არც გმობას ამ ამონაწერში, რომელიც სავსებით გამოხატავს ჩვენს კონცეპციას, კეთილსინდისიერი მკითხველი რასაკვირველია ვერ იპოვნის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყარსის ხელშეკრულობის შეფასებაში საზღვრის იქითა და აქეთ, აზრი ძალიან განსხვავდება. არავისაგან არ ვითხოვთ ზოტბას ამ ხელშეკრულებისათვის. მაგრამ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ უპირობოდ ცნობა მისგან შექმნილი „სტატუს ქვოსი“ დღეს სავალდებულოა კავკასიის ყოველი პატრიოტისათვის, რომელსაც პირბადე ახდილად და რუსეთზედ ფარულ იმედების გარეშე, სწყურია თავისუფლება და დამოუკიდებლობა თავისი ქვეყნისა.

მუდმივი არაფერია ამ ქვეყანაზედ და არც უცვლელი ხელშეკრულებანი არსებობენ ბუნებაში.

ჩვენ ძალიანაც მიგვაჩნია დასაშვებად ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვა კავკასიისა და სომხების ინტერესების მიხედვით, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ოსმალეთი დარწმუნდება, რომ კავკასიის საზღვრების გადასინჯვა ნაკარნახევია მისივე საკუთარი ინტერესებით. და ეს, ჩვენი ღრმა რწმენით, შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც მისსა და რუსეთს შორის აღიმართება მტკიცე ბარიერი თავისუფალი და ოსმალეთისათვის მეგობრული კავკასიისა.

კავკასიის კონფედერაცია, მტკიცე დამცველი თავისი დამოუკიდებლობისა ყოველ გარეშე ჩარევისაგან, იქნება ოსმალეთისათვის ერთი უდიდესი ფაქტორი მისი საკუთარი თავდაცვის სისტემაში.

პოლიტიკური და ეკონომიური ცხოველყოფელობა კავკასიისა და ოსმალეთთან მჭიდრო თანხმობა მოექცევა სამხრეთის მეზობლის მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესების პლანში... და მაშინ და მარტო მაშინ გაგვეხსნება პერსპექტივა, რომელიც ეხლა არც არის და არც შეიძლება იყოს.

აი ასეთივე მოსაზრებით ვწერდით ჯერ კიდევ 1934 წ. აპრილში „კავკასიის კონფედერაცია და სომხები“: „ჩვენგან წამოყენებული ფორმულა კავკასიის კონფედერატიულად მოწყობისა, ჩვენა გვაქვს წარმოდგენილი ერთად ერთ დებულებად, რომელსაც შეუძლიან საუკეთესოდ გადასწყვიტოს მწვავე პრობლემა სომეხ-ოსმალთა დამოკიდებულებისა აწმყოში და ფართედ გაუღოს კარი ნდობისა და მეგობრული დაყენებისათვის ყველა იმ საკითხისა, რომელიც ორთავე მხარეს აინტერესებს — მომავალში“...

ამავე აზრს ვადგივართ დღესაც.

**
*

ასეთი მიდგომა ოსმალურ-კავკასიური ურთიერთობისადმი, საუბედუროდ მიუღებელია თურმე „რამკავორის“ პარტიისათვის, რომელ-

იც ღირსეული პრინციპილობით და პირდაპირობით აყენებს საკითხს სულ სხვანაირად.

წინააღმდეგ „დაშნაკცუტიუნისა“, ეს პარტია, არა მარტო მტკიცე მომხრეა რუსეთისა — სულ ერთია, წითელი თუ თეთრისა — არამედ ახდელად აღიარებს ასეთ „კრედოს“:

„თუ „დაშნაკცუტიუნი“ ნამდვილად სთვლის შეუძლებლად თავისათვის ანტისახელმწიფოებრივ და ანტისომხურ მოღალატურ განწყობილებას, უნდა უკუაგდოს ჩივილი - ტირილი სომხეთისადმი განყენებულ სიყვარულზედ და შესცვალოს თავისი მტრული განწყობილება საბჭოებისადმი; მით უფრო, რომ თითონაც დარწმუნებულია — სომხეთი ვერ იარსებებს დამოუკიდებლად ან ოსმალეთის ბატონობის ქვეშ და უნდა დარჩეს წევრად საბჭოთა კავშირისა“.

უფრო მკაფიოდ და გაბედულად სწერს პარიზის ორგანო პარტიისა „აპაგა“.

საკმაოდ არა კეთილსინდისიერად მიაწერს რა, „ქემალ ათათურქის მფარველობის ქვეშ მყოფ ჰაიდარ ბამატის ბანდას“, კავკასიის სომხეთის საწინააღმდეგო შავს ზრახვებს, რომლისადმი (კავ. სომხ.) ყველა ჩვენი ორგანო გულწრფელ და სამეგობრო გრძნობებს გამოსთქვამს მუდამ — „აპაგა“ (19 მარტი 1938 წ.) სწერს:

„თუ ანკარაში კარგათ ესმით, რომ ეხლანდელ მომენტში ისტორიამ მოულოდნელი შესვენება მიანიჭა ოსმალეთს, რომელსაც არ ავიწყდება თავისი წარსული და ორი საუკუნის მანძილზე ნაწარმოები ომები რუსეთთან, — ჩვენც ხომ გვაქვს უფლება მოვიგონოთ ჩვენი წარსული, როდესაც სრულის შეგნებით ჩვენი ბუნებრივი უფლებისა სიცოცხლეზედ, გავხდით კათოლიკოზ ნერსეს აშტარაკელის ხელმძღვანელობით ავანგარდად რუსეთის მოძრაობისა სამხრეთისაკენ...“

და შემდეგ: „საბჭოთა კავშირმა იქნება დასთმოს უკრაინა, მაგრამ არ დასთმობს ბაქოს ნავთიან ადგილებს, რომელიც ჰკვებავს სასიცოცხლო ენერჯიტა და სისხლით. ჰაიდარ ბამატი სცნობს, რომ რუსეთ - ოსმალეთის მეგობრობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და ხედავს მათს შეტაკებას მომავალში. სომხები ნებსით თუ უნებლიეთ იქნებიან ჩათრეულნი ამ დენაში და გახდებიან ავანგარდის აღნიშნულ მოძრაობათა. (ხაზი ჩვენია).“

რამკავორის პარტიის პოზიცია, რამდენადაც მოყვანილი ამონაწერები გამოხატავენ მის სულისკვეთებას, არ სტოვებს ადგილს გაუგებრობისათვის...



ჰეკატომბებმა და იძულებითმა გადასახლებამ სამკვიდრო ადგილებიდან ასი ათასობით უბედურ სომხის ხალხისა ვერაფერი ასწავლეს მას („აპაგას“). იგი მზად არის კვლავ, თავისი მრავალტანჯული სამშობლო გადააქციოს რუსულ ექსპანსიის პლაცდარმად სამხრეთისაკენ და ავანგარდად წაუძღვეს რუსეთს ომში არა მარტო ოსმალეთის წინააღმდეგ, არამედ ეხლა — თავის კავკასიელ მეზობლების წინააღმდეგაც.

ამ პარტიის გავლენა სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზედ რომ განსაკუთრებული აღმოჩნდებოდეს, კავკასიელი ერები, გადამწყვეტ ამბების დროს თავის სამშობლოში, მოექცეოდნენ ორ ცეცხლს შუა და იძულებულნი იქნებოდნენ ჩაფიქრებულიყვნენ თუ ამისდა შესაფერად როგორ უნდა აწარმოვონ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ასეთი პერსპექტივა სავალალო და შავია...

მაგრამ „აპაგას“ ღია წერილიდან (12 მარტს)* ამ სტრიქონების ავტორისადმი, ჩვენდა საბედნიეროდ, ვიგებთ, რომ ასეთი ზრახვებისაა უმთავრესად ოსმალეთიდან გამოსული სომხობა და რომ კავკასიელ სომეხთა ემიგრანტები და პარტია „დაშნაკცუტიუნი“ არ იზიარებს „ფაიქარისა“ და „აპაგას“ კონცეპციებს. მართალია, ჩემი პატივცემული კორესპონდენტი გვარწმუნებს, რომ „დაშნაკცუტიუნის“ პარტია და კავკასიელი სომხები „სრულებითაც არ არიან სომხის ხალხი“-ო.

„მაშ დაკმაყოფილდით კავკასიელ ემიგრანტებით და თავი დაანებეთ თურქეთ-სომხეთის ხალხს მისი ეროვნული საკითხით, რომლის წარმართვა ჩვენ არ გვინდა გადავცეთ „კავკასიელ ემიგრანტებს“—გვირჩევს ბ-ნი ა. ვ.

ვარწმუნებთ ბ-ნი ა. ვ.-ს, რომ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მისი გონიერი რჩევით, რადგან ამ მისი ღია წერილის გამოქვეყნებამდისაც ვხელმძღვანელობდით ამავე აზრით.

ავტორი ამ წერილისა ეკუთვნის იმ ხალხს, რომლის ბედი ზოგიერთი მხრით ძალიან წააგავს სომხის ხალხის ბედს. როგორც სომხებს, ჩრდილო კავკასიის ხალხთაც ჰყავთ ასიათასობით უცხო ქვეყნებში ნებისით თუ ძალად გახიზნული ემიგრაცია, გადასახლებული სამშობლოდან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. და მიუხედავად ამ ნაკლის სიმწარისა და ჩვენი მწვავე სურვილისა ისევ ჩვენს შორის იმყოფებოდნენ, —პრაქტიკულ ჩვენს ანგარიშებში მომავლისათვის, ჩვენ არ შეგვიძლიან არ გაუწიოთ ანგარიში, რომ სულ მცირე ნაწილი, ალბად 5—6% თუ დაუბრუნდება სამშობლოს.

ჩვენ ვფიქრობთ რომ მრავალ ათასიან სომხის ემიგრაციასაც ესევე ბედი მოეღოს. ეროვნულ თვალსაზრისით ეს, რასაკვირველია, დიდი უბედურებაა, მაგრამ ამ უბედურებას, ვგონებთ, საშველი არა აქვს.

ჩვენ, რასაკვირველია გვესმის რომ სომხებისათვის, და მეტადრე ოსმალელ სომხებისათვის ძალიან ძნელია შერიგება სომხური ეროვნუ-

*) ხელს აწერს: „ა. ვ.“

ლი პრობლემის შეოფარგვლა ვიწრო კავკასიური სომხეთით, ან თუ
ნდაც მთელი კავკასიის საზღვრებით, მაგრამ სომხებმაც უნდა გაიგონ,
რომ მათ კავკასიელ მეზობელთათვის სხვანაირი დაყენება სომხური საკი-
თხისა ობიექტიურად შეუძლებელია: ზოგიერთათვის ეს აღემატება პო-
ლიტიკურ შესაძლებლობათა ძალას, და ზოგათათვის მიუღებელია პოლი-
ტიკურად და მორალურად.

ჩვენ ვთვლიდით ღირსების მოვალეობად, მოვალეობად ჩვენი სინი-
დისისა, ახდილად უთხრათ ეს სომხებს. ჩვენ ასეც მოვიქეცით. გულწრფე-
ლად ვწუხვართ, რომ ჩვენი ლოიალური ზრახვები და წრფელი გრძნობე-
ბი, არ იყო დაფასებული და გაგებული სომხურ საზოგადოებრივობისა-
გან.

თუ გადავიტანთ სომხურ პრობლემაზე ქმსჯელობას განყენებუ-
ლი სფეროდან რეალურ ფაქტების ფარგალში, ჩვენ, ბუნებრივია, ნაკ-
ლებად უწევთ ანგარიშს ემიგრაციას, რაც უნდა დიდი იყოს რიცხვით,
ვიდრე ფაქტიურ მდგომარეობას და ეხლანდელ სულიერ განწყობი-
ლებას ჩვენ მეზობელ სომხებისას ადგილობრივ.

ამ თვალსაზრისით, ოსმალეთის სომხებიც არ უნდა იყვნენ ჩვენზე
ნაწყენები, რომ, მთელი პარტია „დაშნაკცუტიუნი“ თუ არა, მათი ხე-
ლმძღვანელი კავკასიელი სომხების პოზიცია (რომელთაც შეინარჩუ-
ნეს მორალური და შეიძლება პოლიტიკური კავშირიც რეალურ სომ-
ხეთთან, რომელიც სცხოვრობს და ჰგმინავს საბჭოთა უღლის ქვეშ) —
ჩვენთვის გაცილებით დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს, ვიდ-
რე პოლიტიკური ემოციები აუდიტორიისა, რომელსაც ემსახურება
„ფაიქარი“ და „აპაგა“.

მაგრამ როგორია პოზიცია „დაშნაკცუტიუნის“ პარტიისა და იმ
სომხებისა, რომელნიც გაიხიზნენ კავკასიიდან და რომელთაც „რამ-
კავორები“ არა სცნობენ „სომხის ხალხად“?

ამ საკითხზედ, სამწუხაროდ ძნელია გარკვეული პასუხის მოცემა.
მართალია, უკანასკნელ ხანებში, პასუხისმგებელ წარმომადგენელთ
„დაშნაკცუტიუნის“ პარტიისა არა ერთი საჯარო განცხადება გააკე-
თეს ზეპირად თუ წერილობით, საიღუნაც შეიძლება დაასკვნათ, რომ
პარტია ოფიციალურად სდგას დამოუკიდებლობის პლატფორმაზედ.
არ არის საბუთი, რომ პარტია პრინციპიალურად ეწინააღმდეგებოდეს
კავკასიის კონფედერაციას. მაგრამ მისი პოზიცია ამ საკითხში გაურ-
კვეველი და ბუნდოვანია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონფედერაციის იდეის მიღება, რო-
გორც ლოზუნგისა პრაქტიკულ სომხურ პოლიტიკისათვის, პარტიასა
სურს ზოგიერთ საერთაშორისო გარანტიების მიღებით და მეტადრე
თავისი კავკასიელი მეზობლებისაგან ფორმალური აღიარებით სომხე-
თის უფლებისა ცნობილ ტერიტორიებზედ, როგორც ეხლანდელ კა-
ვკასიის საზღვრებში, აგრეთვე იმის გარეთაც.



ყოველშემთხვევაში კონფედერაციაზედ ჩვენი გაგებით, პარტია, გულგრილად არის.

„ფაიქარი“, ზემომოყვანილ წერილში, 20 თებერვლის თარიღით, სიამოვნებით აღნიშნავს „აღშფოთებას დაშნაკურ გაზ. „უსაბერისა“, — რომელიც ეგვიპტეში გამოდის — ჟურნალ „კავკაზის“ რედაქტორის წერილებით. მაგრამ აღშფოთება არ არის პოლიტიკური მდგომარეობა გონებისა და „უსაბერი“ ხანდახანა სცდილობს გაერკვეს ჩვენს შეხედულებაში. მაგრამ როგორ აკეთებს ამას? „დაშნაკუტიუნის“ ცენტრალური ორგანო სცდილობს შეეკამათოს ჩვენს ეროვნულ დებულებათა სისწორეს? გამოამჟღავნოს შეცდომები ჩვენი პოლიტიკური პროგნოზისა? გამოაშკარავოს სისუსტეც ჩვენი არგუმენტაციისა? არა! 14 იანვრის მოწინავე წერილში „უსაბერი“ იძიებს საკითხს იმაზედ, თუ „ვინ არის ხელმძღვანელი „კავკაზებისა“? და სიტყვაა არა მარტო მათს ფორმალურ რედაქტორ ჰაიდარ ბამატზე, არამედ ნამდვილ პატრონზედ ამ ორგანოებისა, იმაზედ, თუ ვის ემსახურება ბამატი“.

ასეთ კითხვებზედ შეიძლება უპასუხოთ მხოლოდ მხრების უკმეხი აწევით... ცხადია, დაშნაკურ გაზეთს თავში არ მოსდის, რომ ასეთი კითხვა და იმავე უფლებით ჩვენ შეგვიძლია მას თითონვე დაუყენოთ.

„უსაბერზე“ ადრე, მენშევიკური და სხვა „პრომეთეული“ პრესა სცდილობდა თავისი ინსინუაციების, ჭორებისა და დაბეზლების ჭუჭყში ჩავეხჩვეთ. აქედან არა გამოვიდა რა. არაფერი გამოვა მომავალშიაც. ჩვენ შეგვიძლიან აუღელვებლად გავიაროთ ასეთი უღირსი ქამანდების გვერდით.

„...ჩვენ რომ სწორე პასუხი გვქონდეს ამ კითხვაზედ, ჩვენ ადვილად გამოვარკვევდით ჩვენს პოზიციას. ბამატი მოგვთხოვს ვიქონიოთ მხედველობაში მარტო „რა“ და გამოვარკვიოთ ჩვენი პოზიცია მისი სიტყვისადმი, უკითხავად თუ ვინ არის მისი ნამდვილი ავტორი, თუმცა იცის, რომ პოლიტიკაში ყოველ წინადადებას იმდენადა აქვს წონა, რამდენადაც ძალა აქვს ზურგიდან“ — განაგრძობს დაშნაკური გაზეთი.

იდეური მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს „კავკაზი“ იმ აზრისაა, რომ კავკასიის პრობლემის გადაწყვეტა არის საქმე უპირველესად ყოვლისა თვით კავკასიელებისა. არავითარი გარეშე ძალა არ უნდა უკარნახებდეს მას თავის ნებას.

პატრიოტული მოვალეობა ჩვენი თაობისა მდგომარეობს იმაში, რომ რთულ საერთაშორისო და შინა-კავკასიურ პირობებში — გავატაროთ ცხოვრებაში ფორმულა, ნაკარნახევი განსაკუთრებით კავკასიელ ერთა ინტერესებით და მოვიხმაროთ ის საერთაშორისო ძალები, რომელთაც, ამა თუ იმ მიზეზით, შეუძლიანთ აღმოგვიჩინონ დახმარება ჩვენს ეროვნულ ამოცანათა განხორციელებაში.

წინააღმდეგ „უსაბერისა“, ჩვენ იმ რწმენით ვხელმძღვანელობთ, რომ მთავარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „რა“-ს. და „ვინ“ — არის

ზედნადები და დამოკიდებულია იმაზედ, შეუძლიან თუ არა, ამ „ვინ“ მოგვეხმაროს ჩვენი აუცილებელი „რა“ს განხორციელებაში.

„უსაბერი“ ზევიდან გვიყურებს. ჩვენი საკუთარი აზრი და მიდგომა კავკასიურ საკითხებში მას არ აინტერესებს. ჩვენთან მზათაა სალაპარაკოთ მარტო იმ შემთხვევაში, თუ მისი ყურადღების ღირსი მფარველები გვყავს.

მარტო ამ შემთხვევაშია ის თანახმა გამოარკვიოს თავისი პოზიცია. *La plus belle fille du monde ne peut donner qu ce qu'elle a*, ამბობს ფრანგული ანდაზა.

რას იზავ, აშკარაა, ჩვენ დაგვჭირდება ცდა იმ დღემდე, როდესაც, ჩვენდა მიუხედავად, ისტორიის ბუნებრივი მსვლელობით, „უსაბერი“ იძულებული იქნება აიხადოს თავისი პირბადე. რა ვქნათ, მოვითმენთ.


ჰაილარ ბამმატი



ჩვენი საგარეო პოლიტიკა

სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მეცნიერნი და სახელმწიფოთა დიდი მესვეურნი ბოლო დროს უფრო გარკვეულ მცნება - შეხედულებას იმუშავებენ. დასახელებულ ჯურის მკვლევარ - პრაქტიკოს მოღვაწეთ განზრახვა აქვთ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ისეთივე მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ანუ კანონი გამოუძებნონ, როგორცა აქვს სხვა მეცნიერებას. ამ ჟამად სრულიად ნათელი შეხედულება შემუშავდა: მეზობელ სახელმწიფოსთან კარგი და მეგობრული განწყობილება და უფრო კარგი და მეგობრული განწყობილება მეზობლის მეზობელ სახელმწიფოსთან.


დღეს, აქ წამოყენებულ დებულებას დიდის სიფრთხილით და აწონ დაწონილად ექცევა, როგორც გინდა ძლიერი და ძლევა მოსილი იყოს ესა თუ ის სახელმწიფო. მას აუცილებლად ესაჭიროება მეზობელ სახელმწიფოს მეგობრული განწყობილება. მეზობელმა მეზობელს მეზობლობა უნდა გაუწიოს და ერთი მეორეს გაჭირება-გართულების დროს უკანიდან ზურგში ხანჯალი არ ჩასცეს. მეზობლობა უქმ, ამო სიტყვად არ უნდა შეიქნას. ვაი იმ სახელმწიფოს თუ ხალხს, რომელსაც ცუდი და მოქიშპე მეზობელი გაუჩნდება; და უფრო ვაი და უბედურება იმას, რომელსაც თავის განდიდებისა და გაძლიერების გულისათვის მეზობელ სახელმწიფოს ამოჭმა მიზნად დაუსახავს. შურით და მტრობით მეზობლისადმი აღჭურვილი სახელმწიფო ვერ იარსებებს და თავის საბოლოო საწადელს ვერ მიაღწევს. პირიქით, მეზობლის ამოჭმასთან ერთად თავის თავს წყალს შეუყენებს. ამის მაგალითები ხალხთა ისტორიაში მრავალია.



მართალია სახელმწიფოთა მოსაზღვრეობა ბუნებრივად აჩენს ურთიერთაშორის მრავალ გაუგებრობათ, ბუნებრივად იწვევს ურთიერთაშორის მრავალ სადაო საკითხებს, მაგრამ ეს სადაო კითხვები მეზობლურ - მეგობრულ მორიგებით უნდა თავდებოდეს და არა დროის შერჩევით, რათა მეზობლებზე შური იძიოს და თავკერძა ანგარიშები გაასწოროს.

მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება თუ ვისთინძე საქირო და სავალდებულოა, უპირველეს ყოვლისა ეს ჩვენთვის — კავკასიელ ერებისათვის. კავკასიის ერებს ისეთი მაჯლაჯუნა დაგვაწვა გულზე, რომ მისი მოგდება-მოშორება არც ისე ადვილი და იოლი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ულმობელ მტერს დედამიწის ზურგის 15% ტერიტორია უკავია — 165 მილიონი მცხოვრებით. საბჭოთა რუსეთი სივრცით გერმანიაზე 45 ჯერ მეტია და ორჯერ მეტს მცხოვრებს შეიცავს. იგი ამ უზარ-მაზარ სივრცითაც არ კმაყოფილდება და მგელივით აქეთ-იქით იყურება კიდევ სხვებს რამე წააგლიჯოს. რუსეთის სივრცე-სიმრავლეს რომ ზედ დავაკეცოთ მისი სულიერი მტარვალ-ველურობა — მაშინ მისი საშიშროება უფრო გაათკეცდება. ეჭვს გარეშეა — ასეთ პირობებში კავკასიის ხალხებს აუცილებლად სჭირიათ მეზობელ სახელმწიფოებთან — მდებარეობენ ისინი სამხრეთით თუ სამხრეთ აღმოსავლეთით, მეზობლურ მეგობრული განწყობილება იქონიონ. კავკასიელთ არ შეუძლიანთ წისქვილის ორ ქვას შუა თავი მოიმწყვდიონ და ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში შესძლონ ეროვნული თავისუფლების განხორციელება - განმტკიცება.

დედამიწაზე არ მოიპოვება ორი მეზობლად მყოფი სახელმწიფო, ერთმანეთს შორის სადაო საკითხები და ადგილები არ ჰქონდეთ. მაგრამ თვითეული მათგანი ამ სადაო საკითხების მოწესრიგებას მძიმე პირობებში კი არ ცდილობს, არამედ შერჩეულ, ხელსაყრელ ურთიერთობაში. ჯერ საკუთარ ფეხზე დადგომა, ჯერ საშიშარ რუსეთიდან კავკასიის განთავისუფლება, მერე სამხრეთ მეზობლებთან მეზობლური მოლაპარაკება სადაო კითხვების გარშემო. ჩვენ ასეთ მტერთან გვაქვს საქმე, რომ მისი თავიდან მოშორება ჩვენს მთავარ საზრუნველს უნდა შეადგენდეს და მთელი ჩვენი ძალები აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. სწორედ მტერს — რუსეთს უნდა შინ და გარეთ გართულებული გვქონდეს საქმე; სწორედ რუსეთს უნდა სამხრეთ მეზობლებთან დამოკიდებულება აგვეწეწ-დაგვეწეწოს. როცა კავკასიის ერების განთავისუფლების ზარი ჩამორეკავს, რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს, მეზობლები გადაგვიდოს და ჩვენ შორის მეზობლური დამოკიდებულება შეარყიოს. იგი ამაში მეტად დახელოვნებულია და ბოროტი მიზნის მიღწევისათვის შესაფერი საშუალებანიც მოეპოება. ერთი სიტყვით, მეზობლებთან დამოკიდებულების გართულება მტრის — რუსეთის ჩარხის ატრიალება იქნება და იმასაც ეს უნდა.



რასაკვირველია, ადამიანის გაბოროტებულ სულს, გესლიან უძლვო ენას ცუდის ფიქრი და ცუდის თქმა შეუძლიან. დაავადებულ სულიერ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სრულიად ადვილად შეუძლიან ამა თუ იმ პირს, რომელიც კი მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობილებას თხოულობს, მეზობლის აგენტობა და ჯაშუშობა შესწამოს, მაგრამ მცდარი და ყალბი დიაგნოზი ექიმს შეარცხვენს და არა პაციანტს. დღეს ემიგრაციაში ძალიან გაადვილდა ერთი მეორის გაბრიანბრუება უმართებულო ეპიტეტებით, მსუქანი ზედშესრულებით შემკობა. რაც მეტს სიცრუეს დასწამებ მოპირდაპირეს, მით უფრო მეტ ვაშასა და ბარაქალას მოიმკი. დე, იხაროს მათმა გაბოროტებულმა სულმა და გულმა, ჩვენ კი შორს სულ წასულობიდან! აქ მაგონდება დიდი გიოტეს ერთი თავგადასავალი — ნაპოლეონ პირველის გერმანიაში შემოსევის დროსა. როცა ნაპოლეონ პირველმა მთელი გერმანია გადალახა და ფეხ ქვეშ გაიგდო იმ დროის გერმანიის წვრილ-წვრილი სამეფო სამთავროები, ამ დროს დიდმა ადამიანმა მოინდომა დიდი ადამიანის პირადი ნახვა. მათი შეხვედრა მოხდა სამთავრო ქალაქ ვეიმარში. ამ შეხვედრამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ დროის გერმანიის საზოგადოებაში და თითქმის დიდი ნაწილი მოწინავე წრეებისა აუმხედრა გერმანიის უდიდეს ადამიანს, გერმანიის ერის გენიას. რა არ დასწამეს ამ კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეს, მსოფლიო მგოსანს. მას ერის მოღალატეს, საფრანგეთის აგენტს და ჯაშუშს უწოდებდნენ. მაგრამ დროთა მსვლელობა გულნამცეცა ბრალმდებელთა შესაბამო ცილის წამებანი მტვერივით გაანიავა და მხოლოდ დიდი გიოტეს გონებითი ნამოქმედარი მთელ კაცობრიობას გონების უდიდეს საუნჯეთ გადაეცა. სრულიად დავიწყებას მიეცა გიოტეს გმობა, მხოლოდ დავიწყებას არ მიეცა მისი შეხედულება რუსეთზე, რომელიც გერმანიის და მთელი ევროპის უდიდეს საშიშროებად მიაჩნდა.

ამ უამად რუსეთი საშიშროებაა არა მარტო ევროპისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ჩვენ კავკასიელ ერებს, სწორედ ახლა გვმართებს მეგობრის ძებნა, მეზობელთან მეზობლური განწყობილების დამყარება. სადაო საკითხების უკან დაყენება, ოღონდ რუსეთიდან როგორმე თავი გავინთავისუფლოთ. ეშმაკის ბეზიასთან უნდა გამოვძებნოთ სამშვიდობო ენა, ოღონდ რუსეთი თავიდან მოვიშოროთ. აი, სწორედ ეს გარემოება გვიკარნახებს მეზობელთან მეგობრულ განწყობილებას.

აწმყო მდგომარეობა უფრო მეტს გვიკარნახებს: მეზობლის მეზობელ სახელმწიფოებთან მტკიცე კავშის, მეზობლის მეზობელთან შეთანხმებას, მათს პოლიტიკასთან შეთანხმებულ საქმიანობას. ის სადაო და საშფოთო საკითხები, რომელიც მეზობელ ერთა შორის არის და იარსებებს, მეზობლის მეზობელთან არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში აწმყოში საფრთხე და დავიდარაბა არ მოგველის. სწორედ ამიტო-



მაც კავკასიის ერებს ევალებათ მეზობლის მეზობელთ საგარეო პოლიტიკას, მათ საგარეო გეზს ფხიზლად თვალ ყური ადევნონ და თავიანთ საგარეო პოლიტიკას, ამის მიხედვით მისცენ მიმართულება.

ჩვენ თვალწინ მთელ მსოფლიოში დიდი გადაჯგუფება ხდება. ამ გადაჯგუფებაში ორი მთავარი მიმართულება იჩეკება. დიდი სახელმწიფოები ჰქმნიან ერთგვარ გეზს, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, მთავარ ღერძს, რომლის გარშემო თავს იყრიან დანარჩენი სახელმწიფოები. მთავარ ღერძების შექმნა-მიმართულებაში პატარა სახელმწიფოებს და წვრილ ერებს საკუთარი არაფერი შეაქვთ. ესენი იძულებულნი ხდებიან ან ერთს მიმართულებას მიემხრნენ ან მეორეს. მხოლოდ და მთელი სიფხიზლე შორსმჭვრეტელობა იმაში გამოიხატება, რომ ესა თუ ის პატარა ერი თუ სახელმწიფო იმ მთავარ ღერძის ტრიალს მიემხროს, რომელიც მისი ხალხისათვის საჭირო და ხელსაყრელი იქნება. შექმნილია თითქმის უკვე აშკარად ორი მთავარი მიმდინარეობა გერმანია-იტალია-იაპონიის ღერძი და ინგლის - საფრანგეთ - ამერიკის ღერძი. ეს ორი მთავარი მიმართულება ერთი მეორეს უპირისპირდება და თვითეული ამათგანი ცდილობს თავისი ღერძის გარშემო, რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოებს და ერებს მოუყაროს თავი.

დედამიწის მთელი ხმელეთი 150 მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის (29%), რომელზედაც ორ მილიარდზედ მეტი მცხოვრებნი მოსახლეობენ. დიდი ბრიტანეთის სამფლობელო დედა მიწის ზურგის 1/4 სივრცეს შეიცავს; საფრანგეთს, საბჭოთა რუსეთს და დიდ ბრიტანეთს ერთად ხმელეთის ნახევარზე მეტი ადგილი უკავიათ; თითქმის 3/4 მიწის ზედაპირი ექვსი დიდი სახელმწიფოს ხელშია. დანარჩენი 68 სახელმწიფოსათვის, მათ შორის დიდ სახელმწიფოებს, გერმანია, იტალია და იაპონიას რჩებათ ხმელეთის მხოლოდ ერთი მეოთხედი. დიდ ბრიტანეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს და საბჭოთა რუსეთს მთელი დედამიწის ნედლი მასალის 85% ხელთ აქვთ. დანარჩენ 70 სახელმწიფოთ კი ნედლი მასალის 15% ეკუთვნით.

აშკარაა, დედამიწის ზურგი უსამართლოდ არის განაწილებული: დროს და გარემოების მიხედვით ზოგიერთა სახელმწიფოებს აუარებელი ადგილები დაუჭერიათ და დანარჩენები ვიწრო ჩარჩოებში ჩაუჭედიათ. აი, ასეთ პრინციპზე აშენებულ თანამედროვე სახელმწიფოთა ძალთა განწყობილება, მიწა-სამფლობელოების განაწილება ჰქმნის იმ მთავარ გადაჯგუფებას, რომლის მოწმენიცა ვართ ჩვენ დღესა.

ბერლინის, რომის და ტოკიოს ღერძი ამ ჟამად ყველასათვის ნათელი და გარკვეულია. დასახელებულ ღერძს სამი უდიდესი სახელმწიფო ატრიალებს. ღერძის ერთი თავი ბერლინ-რომშია მოკიდებული, მეორე კი იაპონიაში. ამ სამმა დიდმა სახელმწიფომ მტკიცე კავშირი შექმნეს თავიანთი ახლო და შორეული მიზნების მისაღწევად. ბერლინიდან ტოკიომდე გაბმული საბელი ლარით გზა და გზა მრავალ ერებსა და სახელმწიფოებს დაჰკრავს მხრებზე. მთელი სამხრეთი

ევროპა, სულ პატარა გამონაკლისით აშკარად ბერლინ რომ ტოკიოს რკალში ექცევა. ახლა ხაზი გავაგრძელოთ შავი ზღვა კავკასია-თურქესტანით იაპონიამდის, დავინახამთ, რომ ბერლინი და ტოკიო პირდაპირ უცქერიან და ამ ფარგლებში მოქცეულ ქვეყნებთან დაკავშირებაში ხედავენ თავიანთ ბრწყინვალე მომავალს. გზა და გზა გვერდზე მდებარე სახელმწიფოები თუ ერები, როგორც არიან პოლონეთი, უკრაინის ერი, ოსმალეთი, სპარსეთი და ავღანისტანი აუცილებლად ამ რკალში მოჰყვებიან და ამ ჩარჩოს გარეშე ვერ დარჩებიან. მართალია, ალბიონი და დიდი საფრანგეთი დღეს დიდ ცდა-მაცადინეობაში არიან ოსმალეთი თავის რკალში შეიყვანონ, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ საწადელს მიაღწიონ. უპირველეს ყოვლისა ბერლინ-რომ-ტოკიოს რკალი ისეთი გეოგრაფიული მოხაზულობისაა, რომ ტერიტორიალურადაც ოსმალეთი დასახლებული რკალის გარეშე ვერ დარჩება. ამ რკალის გარეშე დარჩენა მისთვის სახიფათო და საბედისწერო იქნება. მეორე მხრივ საფრანგეთი საბჭოთა კავშირის მოკავშირეა და რუსეთი კი დაუძინებელი მტერია ოსმალეთისა. დიდი და მთლიანი რუსეთი, ოსმალეთის მეზობლად მუდამ დიდი საფრთხეა. სამაგიეროდ რუსეთის დაშლა - დანაწილება, რუსეთსა და ოსმალეთს შორის თავისუფალი კავკასიის სახელმწიფოს არსებობა ხელსაყრელი და საიმედოა.

ბერლინ-რომ-ტოკიოს მტკიცე კავშირი აქვთ დადებული რუსეთის კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამათ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს კაცობრიობის უდიდეს მტერს — რუსეთს და მისი დაშლა დანაწილება მორიგ საკითხად არის დაყენებული. რუსეთის ვეშაპი გაწოლილია ბერლინ-რომსა და ტოკიოს ხაზზე და მომავალს მიზანს ვერ მიაღწევენ უკეთეს ეს ვეშაპი აქედან არ მოიშორეს. მას თავი უნდა გაუჭეჭყონ და იქ გადაათრიონ, საიდანაც მოცურებულა. გადაჭიმულა სხვა ერების სიმდიდრით სავსე მამულ-დედულზე და ერთი ანდაზისა არ იყოს: „ავი ძალღი თივაზე იწვა, არც თითონ სქამდა და არც სხვას აქმევდაო.“

დედამიწის ზურგზე პოლიტიკური ძალთა განწყობილება უნდა შეიცვალოს, ხმელეთის პოლიტიკურ მოხაზულობაში უნდა კორექტივი შეიტანონ. აწმყო სტატუს ქვოს სამუდამოდ გაჩერება შეუძლებელია. მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფონი, ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნები ადგილებს საჭიროებენ, სადაც ზედმეტი ნაწარმოები უნდა გაასაღონ და სამაგიეროდ იქიდან ნედლი მასალა შემოიტანონ. ინგლისის მსოფლიო სახელმწიფოს თვითეულ კვადრატულ კილომეტრზე 15 ადამიანი სცხოვრობს, ჩრდილო ამერიკაში 14 ადამიანი, ხოლო რუსეთში 8 ადამიანი. მაშინ როცა გერმანიაში თვითეულ კვადრატულ კილომეტრზე 135 ადამიანი სცხოვრობს.

კვლავ ვიმეორებთ: დღევანდელი გადაჯგუფებანი, დედა - მიწის პოლიტიკური ზედა პირის შეცვლის აუცილებლობით არის გამოწვეული და ეს ცვლილება ახლო მომავალში სინამდვილედ გადაიქცევა.



კავკასიის ერებს არ შეუძლიანთ მსოფლიო ტალღათა ორ დენას გზა და მიმართულება შეუცვალონ. მისი საგარეო პოლიტიკის დანიშნულებაა ან ერთს მიემხროს ან მეორეს. ჩვენი აზრით ბერლინ-რომისა და ტოკიოს პოლიტიკა ერთ ერთი გზა და საშუალებაა, რომელიც ჩვენ უფრო კეთილ მომავალს გვიმზადებს და ჩვენი, ე.ი. კავკასიის ხალხების საგარეო პოლიტიკაც, აქეთ უნდა იყოს მიმართული.


ვლ. ახმეტელი

ჩვენი მუვილოზიანობისათვის

უკანასკნელ დროის ამბებმა, უეჭველია, ბევრი ჩვენგანი ჩააფიქრა. ჩვენდა საუბედუროდ, ყველა ამ არა სასიამოვნო მოვლენამ იჩინა თავი სწორედ იქ, სადაც გაჩაღებულია მსოფლიო საქმიანობა. იმ დროს როდესაც ჩვენი ფიქრი, ჩვენი გრძნობა უნდა იყოს მიმართული ერის ბედნიერებისაკენ, ჩვენ დავერიეთ ერთმანეთს, ყოველგვარ ღირებულებას ვკარგავთ ერთმანეთის თვალში და ვახარებთ მხოლოდ ბოროტებას. ძველ დროს, როდესაც ჩვენი რაინდი წინაპარნი, სადარაჯოზე მდგარნი, ჰხედავდნენ განსაცდელს, ერთდებოდნენ და მძლავრად მიჰქონდათ იერიში ხიფათის ასაცილებლად, ივიწყებდნენ პირადულს და სახეში მხოლოდ საერთო მიზანი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ მუხანათნი, გამცემლნი და რომელნიც სცდილობდნენ წინ წამოეყენებინათ პირადი სარგებლობა, ხოლო ესენი შეადგენდნენ მცირე გამოჩაყლისს. ასე რომ არ ყოფილიყო, ერთ წამსაც ვერ ვიხილავდით სამშობლოს ფრთა-აყრილს, თავისუფალს. ახლა, როცა შევარდენი ფრთებ დაშვებულია, ნავარდს ველარ ახერხებს, სწორედ ახლა გვმართებს გამოჩენა დიდი მოთმინების და თავშეკავებისა, ამასთანავე განსაკუთრებული სიფრთხილის და მახვილი სიბრძნისა.

სწორედ ახლა, როცა მტრის რიცხვი გაგვიმრავლდა, როცა ხერხის და იარაღის ძებნაში ასე დახელოვნდნენ, ჩვენ გვჭირია დიდი ნიჭი და ყურმახვილობა. ნუ დავივიწყებთ, რომ ძველ დროსთან შედარებით, ქართველობა განახევრდა. ათასმა გარემოებამ დაგვქსაქსა. ახალ აზრთა და მიმართულებთა გაჩენას ვინა სჩივის?! ეს ბუნებრივია, კანონიერი! როცა ერი სცხოვრობს და იბრძვის კულტურულ ელფერის შენარჩუნება - განვითარებისათვის, საკვირველი არ არის აზრთა სხვა და სხვაობა. უბედურება იმაშია, რომ მიმართულებათა მეთაურნი სდევნიან ერთმანეთს. არა ჰზოგავენ მოპირდაპირეებს, თითქოს მართლაც მიზანი ამართლებდეს ყოველგვარ საშუალებას, მართებულს და არა მართებულს.

მარტო იმის გახსენება, თუ რას დაემსგავსა ჩვენი პოლიტიკუ-



რი მწერლობა, უკვე გულს უმღვრევს ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია მიუკერძოებელი ქცევის და მსჯელობის უნარი. დავივიწყეთ მაღალღირსეულ წინაპრების წესი: პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია! ეტყობა ჩვენ მართლაც დაგვიკარგვია პატიოსნება, რომ მოციქული არსადა სჩანს?! ჩვენს ბრძოლა - ჩხუბში იწიბლება პიროვნება, ჯგუფი, ზოგჯერ თვით ხალხიც. ეს იმ დროს, როდესაც ყოველთვის და ყოველგან თავი ისე უნდა გვეჭიროს, რომ ჩვენი მოპირდაპირეს მოქმედების სამართლიან წუნდადებასა და გამობაში მრავლად გავიჩინოთ თანამოაზრე და თანამგრძობი ჩვენს გარეშე მდგომ ნეიტრალურ წრეებსა და თვით უცხო ერებშიაც. კერძო ცხოვრებაში მაღალზნეობრივი პიროვნება თავს არ უყადრებს ლაზღანდარას, მგინებელს და შფოთის ამტებს, რომ იმის ბადლად არავინ ჩასთვალოს. მაშ საზოგადოებრივ სარბიელზე რაღად ავყვებით ხოლმე თავდამსხმელს, რა წრისაც უნდა იყვეს?! საზოგადოებრივი აზრი ასეთი გზით არ იბადება. ასე ჩნდება მხოლოდ რომელიმე წრის შეხედულება. ეს არ არის საყოველთაოდ მისაღები. სამართლიანი აზრი მუშავდება მარტო ნამუსის მოციქულობის საშუალებით. ამნაირად შექმნილი აზრი შეურყეველია, მტკიცე. ხშირად უწესოდ, მრუდედ მომქმედს გვირგვინოსანს აკარგვინებს ტახტს და სახელმოხვეჭილ მოღვაწეს შეძენილ გავლენას. პირადულ და ჯგუფობრივ ნიადაგზე ატეხილი დავიდარაბა ჰქმნის ხშირად საშინელ კორიანტელს. წყვილიადში ვერ ვარჩევთ მტერს და მოყვარეს. ბევრი მამულიშვილური წმინდა გრძნობით გამსჭვალული ჰკარგავს იმედს და სასოებას. იყო უკვე მაგალითი, რომ ამ ნიადაგზე სასო მიხდილმა ზოგმა თანამოდმემ მიატოვა საწუთრო. შეუძლებელია ეს ასე გაგრძელდეს! უნდა გაიწმინდოს ჰაერი! ოდესმე უნდა მოვიდეთ გონს! საქართველოსათვის თავდადებულთა ახლად გათხრილ საფლავების წინაშე მაინც მივცეთ ერთმანეთს ფიცი, რომ ნამუსს აღარ გადავცდებით და სამშობლოს საქმეს ღირსეულად გაუწევთ სამსახურს ამიერიდან. სრულებით არ არის საჭირო ყველანი ერთ მიმართულებაზე გავჩერდეთ ჩვენი სახელმწიფოს აღდგენის საქმეში. საქმიანი ერთიანობა არ მოითხოვს ერთს საძოვარზე, ერთს ფარეხში მოქცევას... ევროპაში უნდა შევეჩვიოთ ევროპელობას. მივბაძოთ ინგლისის პარლამენტარიების ტრადიციებს, ვსცეთ პატივი სხვის პიროვნებას. სხვის ჯგუფს, თუ გვსურს ჩვენ თვითონ პატივი გვცენ. ინგლისში ყველა კაცი ჯენტლმენია, სანამ ღირსებას სამართალი არ ახდის, ქართველობაში კი (ვგულისხმობ არა ძველს, არამედ ახლანდელს) ჯენტლმენის სახელით ვნათლავთ განსაკუთრებულ პიროვნებას, თითქოს ეს ჯენტლმენობა — ძველი ქართული კეთილშობილება — განურჩევლად ყველასათვის სავალდებულო არ იყოს! ვერა ვგრძნობთ თუ რა საშინელი თავის დამცირება იმალება ასეთ ქცევაში. ინგლისში იდეური მოწინააღმდეგენი იბრძვიან მხოლოდ მიჩენილ საზოგადო სარბიელზე, ამის გარეშე კი კერძობაში ადამიანურ-კაცურ განწყობილებაში იმყოფებიან. ასე იქცევიან მაღალი კუ-

ლტურის ერნი. საზოგადო საქმეში მივიწყებული აქვთ ყოველივე პიროვნული, ცრუ ამაყოფა და ყალბი თავმოყვარეობა. ამიტომ მეტად იშვიათია იქ შფოთი და შეხლა-შემოხლა. დავადგეთ ასეთ გზას. მივბადოთ კარგ მაგალითს. ამნაირად ავმალღდეთ საკუთარ და უცხოთა თვალში! ავამალღებთ ამასთანავე ჩვენს სათაყვანოსაც. ყველა ეს, რასაც ვამბობ, უბრალო ქეშმარიტებაა, მაგრამ რასა იქმ, როცა უბრალო აღთქმასაც ხშირი გახსენება სჭირდება, თურმე ამ ჟამად?!...

გრ. დიასამიძე

ჩვენს „მოღალატეობა“ და ბ. ნ. ჟორდანიას „პატრიოტობა“

ბატონ ნ. ჟორდანიას ბედი არა სწყალობს. წლების განმავლობაში მის მიერ დაქირავებული ორკესტრი, ქართულ თუ კავკასიურ პოლიტიკურ ცენტრად წოდებული, ხმაშეტკბილებულად უკრავდა. საკმარისი იყო ბ. ჟორდანიას თითის დაქნევა, რომ ყველა მის მუსიკოსებს შეუცდომელად ერთ ჰანგზედ დაეკრათ. ალბად დირიჟორის მოღლილობით და ან მისი „ქართული საქმეებით“ მეტის მეტი დატვირთვით აიხსნება ის არეგ დარევა, რომელიც ამ ბოლო დროს ბ-ნ ჟორდანიას ორკესტრს ემჩნევა.

რადგან ბ-ნი ჟორდანია დირიჟორობაზე მაინც ხელს არ იღებს და, რაც უარესია, ზოგიერთი, შურით თუ გულუბრყვილობით დაბრმავებული ნაციონალისტი ყოველ ღონეს ხმარობს ბ. ჟორდანია ხელოვნურად კვლავ იმ სიმაღლეზედ აიყვანოს, სადაც ის ბედმა ერთხელ აიყვანა და საიდანაც ის ელვის სისწრაფით თვით დაეშვა, ჩვენ იძულებული ვხდებით თავიდანვე ჩვენი ღრწო მის ყალთაბანდურ და ორქოფულ პოლიტიკის მხილებას მოვანდომოთ.

ბ. ნ. ჟორდანიას მხილებას და კრიტიკას ჩვენთვის არავითარი სხვა მნიშვნელობა არა აქვს, გარდა ქართული საქმის სამსახურისა. ბ. ჟორდანია განხორციელებს იმ სენისა, რომელიც საქართველოს მარქსიზმის სახით გაუჩნდა. თუ დღეს დიდი იმპერიებიც კი თავიანთ ეროვნულ ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის მარქსისტულ ბაცილას ებრძვიან, რა გასაკვირია, რომ ჩვენ, მარქსისტების მეოხებით გასაჭირში ჩავარდნილი ქართველობა, ამ სენს უფრო სასტიკად შევებრძოლოთ.

საბედნიეროდ, ბ. ჟორდანიას ყალთაბანდურ პოლიტიკის მხილებისათვის ჩვენ არ გვჭირია საკუთარი არსენალის დახმარება.

ამ საშუალებას ჩვენ რიგ-რიგობით ისევ ბ. ჟორდანიას მოკავშირეები და მისი აბნეული ორკესტრის წევრები გვაძლევენ. დღეს ჩვენ სწო-

რედ ერთ-ერთი ბ. ჟორდანიას ასეთი მოკავშირის ნაწერი უნდა გავაცნოთ მკითხველს. ეს მოკავშირე, და შესაძლებელია უკანასკნელად პოლონეთში მომხდარ მგზავრობის და კონფერენციების შემდეგ იერარქიულად ბ. ჟორდანიას უფრო ამაღლებული პიროვნებაც, გახლავთ ბ. მაჰმედ - ემინ რასულ ზადე.

ყველას მოეხსენება, რომ ბ. ჟორდანიამ „კავკაზის“ ჯგუფთან საბრძოლველად ქართული პატრიოტიზმის ექსპლოატაცია მოინდომა. ეს „დიდი ქართველი პატრიოტი და მუდამ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობაზე მზრუნავი ადამიანი“ ვერ შეურიგდა „კავკაზის“ „მოღალატეობას“, ქართულ ტერიტორიების ოსმალეთზე გადაცემას და ამ სიბოროტესთან საბრძოლველად ქართველობას მის გარშემო გაერთიანებისაკენ მოუწოდა.

ჩვენ თავის დროზედ საკმარისად ვამხილეთ, თუ რა სარჩული ჰქონდა ბ-ნ ჟორდანიას მანიოვრებს. ის მხოლოდ ბატონობის შენარჩუნებაზედ ზრუნავდა და ქართული ტერიტორიები ნაკლებად აწუხებდა. მან „კავკაზის“ ჯგუფში ამ ბატონობის შენარჩუნებისათვის საშიში, ქართულ - კავკასიური პოლიტიკის მეთაურობის მოქიშპე ელემენტი დაინახა და ამით განრისხებულმა, ყოველი ღონე იხმარა ამ ჯგუფის გასანადგურებლად. ხოლო ჩვენ ისიც ვიცით თუ რა კრახით დამთავრდა ის 4 დეკემბრის მიტინგიც და ყველა სხვა წამოწყებანიც ბ. ჟორდანიასი ამ მიმართულებით.

ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ საბუთებით და წერილებით ნათელი გახდა ყოველ გონიერ ადამიანისათვის, თუ ვინ გადასცა ქართული ტერიტორიები 1918 და 1921 წლებში ოსმალებს.

ჩვენს მიერ მოყვანილი და განხილული ბ-ნ ჟორდანიას წერილი „სომეხთა შორის“ ნათელჰყოფდა, რომ ბ-ნ ჟორდანიას პოზიცია სამხრეთის საზღვრების შესახებ იდენტიური იყო „კავკაზის“ პოზიციასთან, ხოლო შიგ დაშვებული ნიუანსები, მისი ჩვეულებრივი თვალთმაქცობის შედეგი იყო.

იმ ურწმუნო თომებს, არც ნანახის გახსენება და არც ნაწერის გაგება უნდათ და რომელნიც ბ. ჟორდანიას კიდევ ქართულ ნაციონალიზმის ფალავნად და ყოველ პირობებში ქართულ ტერიტორიალურ მთლიანობის დამცველად გვისახავენ, ჩვენ ურჩევთ ბ. ჟორდანიას თანამებრძოლის, ბრიუსელის კონფედერატიული პაქტის ერთ-ერთ ავტორის ბ. რასულ ზადეს „ყურტულუშში“ გამოქვეყნებული წერილები წაიკითხონ.

თავის წერილებში ბ. რასულ ზადე ბ. ჟორდანიას და მის ქართველ ავან-ჩავანების მიერ თურქოფილებად მონათლულ „კავკაზის“ ქართველ თანამშრომლებს და კერძოდ ბ-ნ ზურაბ ავალიშვილს თურქოფობად ნათლავს. ბ. რასულ ზადე ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ბ. ზურაბ ავალიშვილმა ართვინ-არტაანის ოლქებში და ლაზისტანში ქართველობის არსებობა ახსენა. ამ დანაშაულისთვის ბ. რასულ ზადე ბ-ნ ავალიშვილს „პონტოს ავადმყოფობით“ შეპყრობილ ადამიანად ასაღებს.

ჩვენ არ გამოუდგებით ყველა იმ ბრალდებით, რომელსაც ბ. რა-



სულ ზადე „თურქოფობ“ „კავკაზის“ თანამშრომლებს უყენებს.

ჩვენთვის საინტერესოა თუ რასა სწერს სამხრეთის საზღვრებზე ბ-ნ ჟორდანიას თანამოპაქტე ბ. რასულ ზადე.

„ყურტულუშის“ მარტის ნომერში, „კავკაზის“ მიერ დასმულ საკითხის საპასუხოდ ბ. რასულ ზადე სწერს შემდეგს: „ტაქტიკა კავკასიურ ორგანიზაციის, რომელშიც ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ, ეყრდნობა ჩვენი სამხრეთის მეზობლების, ჩვენს მეგობრებად შეფასების პრინციპს; ამ ორგანიზაციამ მთელი მისი ძალდონე უნდა მოახმაროს რუსეთთან ბრძოლას, რომელსაც ფაქტიურად დაპყრობილი აქვს ჩვენი ქვეყნები.“

არც ოსმალეთთან, არც ირანთან ჩვენ არა გვაქვს არავითარი სადავო საკითხი. გამოსვლა დღევანდელ მდგომარეობიდან ჩვენს სამხრეთის საზღვრებზე შეადგენს ფუძეს ჩვენი საერთო ბრძოლისა.“

ამ სტრიქონების დამწერს ბ-ნ რასულ ზადეს, ბ. ჟორდანიას პარტიორს და „კავკასიის ცენტრის“ წევრს, ჩვენ კავკასიელ ერთა ინტერესების მოღალატედ ვერ გამოვაცხადებთ, როგორც ამ შემთხვევაში თვით ბ-ნ ჟორდანიას, რომელიც ამავე საკითხზე სწერდა: „როდესაც თავსა გჭრიან, თმაზე ფიქრი არ შეიძლებაო.“ დღევანდელ ვითარებაში კავკასიურ პოლიტიკას სხვა გამოსავალი არა აქვს და ამ პოლიტიკას საფუძვლად მდგომარეობის ასეთი რეალური შეფასება უნდა დაედვას.

ხოლო ჩვენ ვეკითხებით ბ. ჟორდანიას, როგორ ათავსებს ის „კავკაზის“ წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას ტერიტორიების დათმობის შესახებ, ბ-ნ რასულ ზადესთან თანამშრომლობას, რომელიც ამ თანამშრომლობის ფუძედ დღეს არსებულ სამხრეთის საზღვრების უცვლელობას აღიარებს. რომელი სახე ბ-ნი ჟორდანიასი უნდა მიიღოს ქართველობამ ნამდვილად — ის, რომელიც ღიმილით მიბრუნებულია ზემოთ მოყვანილ სტრიქონების ავტორთან, რასულ ზადესთან, თუ რომელსაც ის დემაგოგიურის მიზნით ქართველობას აჩვენებს?

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის ასეთნაირად გაბიაბრუებას ბ. ჟორდანია დიდ ხანს ვერ შესძლებს. ბ. ჟორდანიას არჩევანი არა აქვს. ან მან ეხლავე უნდა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი ბ. რასულ ზადესთან და იმ კავკასიურ ორგანიზაციასთან, რომლის კრედო ბ. რასულ ზადემ გვამცნო და რომლის საშუალებით ბ. ჟორდანია და მისი ფრონტები სულდგმულობენ და ან საჯაროდ აღიაროს რომ „კავკაზის“ ჯგუფის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია დემაგოგიური და ბოროტი, შურიტ და პოლიტიკური კონკურენციის შიშით გამოწვეული მანიოვრი იყო.

ვაი რომ ასეთი მოთხოვნების წაყენება ბ. ჟორდანიასათვის სრულიად ზედმეტია. მისი და მისი პარტიის წარსული მოღვაწეობა ორქოფობის, დემაგოგიის და ყალბაბანდობის საუკეთესო ნიმუშია.

ჩვენ ამ მხრივ ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის უცვლელ ბუნებას კარგად ვიცნობთ.

როდისღა უნდა გაიცნონ ის იმ ქართველმა პატრიოტებმა, რომელნიც მის მახეში გაბმულნი არიან და ან იმ „გულუბრყვილო“ ნაციონალისტებმა, რომელნიც ბ. ჟორდანიას „მორჯულებაზე“ და მასთან ახალი ფრონტის დაარსებაზე ოცნებობენ და ამ მიზნით ჩუმ-ჩუმად ჩვენს მოღალატეობაზე და ბატონ ჟორდანიას პატრიოტობაზე ბაასობენ?

მიხეილ კელია

გაბზარულს გატყუილი სჯობია

ეს ბრძნული ქართული გამოთქმა ჩვენ, ქართველებს, ალბად იმ ბრძნულ დარიგებას უნდა გვაძლევდეს, რომ თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში გაბზარული ნივთი მთელის ადგილს ვერ დაიჭერს, მთელის სამსახურს ვერ გაგვიწევს, ახალის შეძენას კი გიძნელებს და იმიტომაც რომ გატყუილი სჯობია, ვინაიდან იგი გვიკარნახებს ახალის შეძენის საჭიროებას. საზოგადო ანუ პოლიტიკურ მუშაობაზედ ხომ ეს ქართული ანდაზა ზედაა გამოჭრილი. გაბზარულ პოლიტიკის წარმოებას ზარალის, ვნების მოტანის მეტი არაფერი შეუძლია.

აი ერთი მაგალითი ამისათვის. არავისთვის საიდუმლოებას არ წარაადგენს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლობის მუშაობა მეორე ინტერნაციონალში, დღიდან ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა მოსკოვის მიერ, გაბზარულია, ამიტომ ორჭოფულიცაა. ერთი მხრით ის იძულებული ხდება მოისმინოს საყვედურები იმის გამო, რომ ის „ქართულ ეროვნულ ფრონტსა ჰქმნის“, „პრომეთეს“ აარსებს და მათ მეთაურობს, რის გამოც უხდება თავის მართლება; მეორეს მხრით, თვით ამ „მუშათა ინტერნაციონალის“ საქმიანობა, მოსკოვისადმი დამოკიდებულება ისეთი ხასიათისაა, რომ ქართველ წარმომადგენლობას, რაც უნდა უხეირო იყოს, ვერ დააკმაყოფილებს, თუ არ უნდა ქართულ ინტერესებს და მის სინამდვილეს მოსწყდეს. ეს მდგომარეობა თუ, ასე თუ ისე, ასატანი იყო თავში, როცა ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალი ამა თუ იმ სახით საქართველოს უფლებას ესარჩლებოდა — თუმცა ყოველთვის გაუბედავად — ახლა, როცა მდგომარეობა შეიცვალა, ანუ უკეთ, სინათლე მოეფინა, დღეს საჭირო და აუცილებელი ხდება ამ დაწესებულებისა და მასში ქართველთა მონაწილეობის მიღების საქართველოს ინტერესების მიხედვით განხილვა-შეფასება. ამიტომ თავისთავად ისმება საკითხი: რას წარმოადგენს დღეს ეს ე. წ. მეორე ინტერნაციონალი და შეუძლიან თუ არა ქართველს იქ მონაწილეობის მიღება?

ჩვენთვის უდავოა ის დებულება, რომ მუშებს სრული უფლება აქვთ



თავის უფლების დასაცავად, როცა მათ უმწეო მდგომარეობას საზოგადოება ან სახელმწიფო არ ეხმარება, შეკავშირდნენ და ამით შეეცადნენ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს უფლება შეკავშირებისა, თავისთავად იგულისხმება, მათ ინტერნაციონალური მასშტაბითაც შეუძლიანთ განახორციელონ. მაგრამ ეს შეკავშირება უნდა იყოს ნამდვილი მუშური, მუშათა შეკავშირება, რასაც, რამდენიმეთ ადგილი ჰქონდა წარსულში, მსოფლიო ომის წინ, და არა პოლიტიკანების შეკავშირება, რასაც დღეს ვხედავთ სინამდვილეში, რის გამოც არა მუშათა ინტერესების დაცვა, არამედ ამ ინტერესების ფალსიფიკაცია ხდება. მართლაც, მაგარი სიტყვა რომ არ ვიხმაროთ, სწორედ ახირებულია ეს „ინტერნაციონალი“. მასში შედიან წარმომადგენლები სრულიად არ არსებულ მუშათა ორგანიზაციების, როგორც რუსეთის სხვა და სხვა „სოციალისტურ პარტიების“, შემდეგ ავსტრიის, იტალიის, სადაც მათი პარტიების ნასახიცი კი არ არის. ერთად ერთმა გერმანიის წარმომადგენლობამ, როცა მათი პარტია მოისპო ამ ქვეყანაში, არ იკადრა ამ თვალთმაქცობაში მონაწილეობის მიღება. ახლა ვიკითხოთ — ამ შემთხვევით ხალხს აქვს უფლება ილაპარაკოს თავიანთი ქვეყნების მუშათა სახელით? რას ვამბობთ, არამც თუ ილაპარაკოს, უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ სწორედეს ხალხი ბატონობს, მათი სულის კვეთებაა გამეფებული დღევანდელ „ინტერნაციონალურ მუშათა შეკავშირებაში“. ვინ არიან ყველა ეს ადღერები, ბაუერები, დანები, აბრამოვიჩები და სხვ. რას ან ვის წარმოადგენენ? არავის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს „ინტერნაციონალი“ მათია.

უმთავრესად ამ შემთხვევითი ხალხის წყალობითაა, რომ ეს დაწესებულება ბოლშევიკურ მესამე ინტერნაციონალის დამქაშად გადაიქცა, ვინაიდან ის ყოვლად ყალბი შეხედულებაა გამეფებული, წინააღმდეგ დღევანდელი რუსეთის აშკარა სინამდვილისა, რომ იქ მაინც „რევოლუციონური პროცესი“ სწარმოებს და ამიტომ ევროპის მუშათა კლასი ვალდებულია მას დახმარება გაუწიოს. და ეს ხალხი ხომ რუსეთის მდგომარეობის საუკეთესო მცოდნეებად და ავტორიტეტებად ითვლება. და აბა სხვას ვის უნდა დაუჯერონ ევროპაში, ცოტა სხვა გვარადაც დაინტერესებულმა ხალხმა, თუ არა რუსეთის ამ წარმომადგენლებს?

რომ სოციალისტურმა დემოკრატებმა ევროპაში, ყოვლად ყალბი და დამღუპველი გეზი აიღო ბოლშევიკურ ტირანიისადმი დამოკიდებულებაში, როგორც ამას თავშივე თვით კაუცკი აღნიშნავდა, ახლა, „ბრძოლის ხმა“ გვიდასტურებს თავის აპრილის ნომერში. აი რას ვკითხულობთ წერილში „დამარცხების და დანაწილების შიში“. „სოციალისტურმა და დემოკრატიულმა ევროპამ მთელი წლების განმავლობაში გამოიჩინა უდიდესი უსუსურობა ბოლშევიკების ტირანიის მიმართ და ვერ გამონახა შესაფერი გზები და საშვალეები, რათა მას მთელი სოციალისტური და დემოკრატიული ევროპის საზოგადოებრივი აზრი ტირანიის წინააღმდეგ აემხედრებინა, მისთვის ლაგამი ამო-

ედო და სათანადო ადგილი მიეჩინა. დღესაც, როცა მოსკოვის მოქმედება მოკლებულია ყოველივე სამართლიანობის ელფერს და სავსეა აუარებელი პათოლოგიური მოვლენით, ევროპის სოციალისტური და დემოკრატიული ორგანიზაციები, ყოვლად უნიადაგო და უსაფუძვლო მოსაზრებებით იმასაც კი გაუბიან, რომ ენერგიულად დაჰგმონ და გაჰკიცხონ ბოლშევიკების მიერ საბჭოთა კავშირში წარმოებული ტერორი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ჯაშუშებად და მავნებლებად გამოცხადებულ კომუნისტებისა, არამედ აგრეთვე სოციალისტების და დემოკრატების წინააღმდეგაც. ისინი ერიდებიან მოსკოვს, ეშინიათ მისი გაღიზიანებისა და წყენის;...”

თუ ეგრედ წოდებულმა სოციალისტურმა დემოკრატებმა რუსეთის მიმართ ყოვლად მიუღებელი პოზიცია დაიჭირა და თვით სოციალისტურ დემოკრატიის უდიერად დევნის წინააღმდეგ რიგიანად ხმაც კი ვერ ამოიღო, გაცილებით უარესია და შეუწყნარებელი ევროპის ამ „დემოკრატიის“ საქციელი რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულ ერთა განმანთავისუფლებელ ბრძოლის საკითხში. აქ ისინი სავსებით გაკოტრდნენ. ერთხელ რის ვაი ვაგლახით მოცემული სიტყვაც ვერ გამართლეს. ხალხთა ლიგის პირდაპირი დალატი საქართველოს საკითხისადმი ხომ ამ „დემოკრატიის“ მორალურ ფაქტორების აპოგეად გადაიქცა, როცა მან თავის საშოში რუსეთის, ამ ხალხთა ჯალათის, წარმომადგენელი ლიტვინოვი დაუშვა და არც-კი შეეცადა „ამ ქვეყანაში“ (ე.ი. საქართველოში) ნორმალური მდგომარეობა დაემყარებინა მშვიდობიანი გზით“, როგორც მის მიერ ერთხელ მიღებული რეზოლუცია გულისხმობდა. აი ჩვენთვის, ქართველებისათვის მწარე სინამდვილე. დროა, ამ სინამდვილეს ქართველებმა ღია თვალებით შევხედოთ. თავს ნუ ვიტყუილებთ. ამ ძალისაგან ქართველი მებრძოლი ხალხი დახმარებას ვეღარ მიიღებს, თუ არა ხელის შეშლას. ასეთია დღევანდელი ევროპის მდგომარეობა. ის ორ ბანაკადაა გაყოფილი. ორი ძალაა დაპირდაპირებული ერთი მეორეს წინააღმდეგ სრულიად გარკვეულად. ერთია, რომელიც რუსეთის ბოლშევიკურ ჩეჟიმს იცავს ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ვარიაციით და, მაშასადამე მის ბრძოლის რკალში ვარდება და მეორე, მისი ანტაგონისტი, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ამ კოალიციის წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა რაც დრო გადის უფრო ნათელი ხდება. ომის შიშის მოლოდინში, რომელიც კაცობრიობას შავ ღრუბლებსავით თავს დასწოლია, ფრონტის ხაზი სრულიად გარკვეულ სახეს იღებს. ბარიკადის რომელ მხარეს ვინ მოჰყვება ჩვენთვის სავსებით ნათელია. ამის საუკეთესო ნიმუშს და დამამტკიცებელ საბუთს ის შეთანხმება გვაძლევს, რომელიც მოხდა მოსკოვში 1937 წ. 24—25 ნოემბერს, რუსეთის პროფინტერნის და ამსტერდამის ინტერნაციონალის შორის. აი ეს შეთანხმება: 1. საერთაშორისო პროფესიონალური კავშირების ფედერაცია უფრო აქტიურ ბრძოლას უნდა აწარმოებდეს ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ 2. ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ



მიღებულ უნდა იქმნას პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ზომები (მუშათა კრებები, პრესა, რადიო, სინემა და სხვ.); 3. აგრესიულ ქვეყნების — გერმანიის, იტალიის და იაპონიის წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში უნდა გაიმართოს პროლეტარული სანქციები (აგრესიულ ქვეყნების გემების დატვირთვაზე უარის თქმა, ამ ქვეყნების მიმართულ ბით ტრანსპორტის შეჩერება და გაფიცვების მოწყობა ყველა იმ ქარხნებში, სადაც მზადდება იარაღი აგრესორებისათვის და სხვ.); 4. ენერგიული დახმარება ისპანიას და ჩინეთს, იტალიის, გერმანიის და იაპონიის წინააღმდეგ; 5). საერთო პროლეტარულ და სახალხო ფრონტისადმი მხარის დაჭერა. ყოველგან, სადაც კი ეს ფრონტი არსებობს; 6). მოწვეულ იქმნას საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირების ფედერაციის არაჩვეულებრივი კონგრესი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა პროფესიონალური კავშირებიც. 7. საერთაშორისო პროფ. კავშირების ფედერაციას ეყოლება 3 თავმჯდომარე, მათ შორის ერთი იქნება საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. აგრეთვე ერთი გენერალური მდივანთაგანი უნდა იყოს რუსი 8. რადგანაც საერთაშორისო ფედერაციის კასაში რუსებს მოუხდებათ 5 მილიონი ფრანკის შეტანა, უნდა იყოს იმის გარანტია, რომ ეს მილიონები არ მოხმარდება საბჭოთა რუსეთის და მის პროფ. კავშირების წინააღმდეგ პროპაგანდას“.

გვეტყვიან, ამ უტიფარ შეთანხმების რატიფიკაცია ჯერ არ მომხდარა და მრავალი ქვეყნის სექციები ამის წინააღმდეგ არიანო. ეს შენიშვნა საკუთარ თავის მოტყუება იქნება, თუ მხედველობაში მიიღებთ, რომ ამ დელეგაციას მოსკოვში მეთაურობდა საფრანგეთის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე ცნობილი ლეონ ჟუო. მერე ვინ არ იცის რომ ამ პირის გავლენა ამ წრეში განუზომელია და ესეც ხომ ზემოდ ჩამოთვლილ ინტერნაციონალის „სულის ჩამდგმელ“ წრეს ეკუთვნის. ვინც დაკვირვებით ჩაუკვირდება ამ შეთანხმების ყოველივე მუხლს, ის, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, მხოლოდ წითელი მოსკოვის, მართლაც აგრესორის სამხედრო მიზნებს ემსახურება. მეტადრე ჩინეთის დახმარება იაპონიის წინააღმდეგ. რუსეთმა კარგად იცის, რასაც აკეთებს. ის ცდილობს ყველგან პოზიციების გამაგრებას, მომავალ შეჯახების მოლოდინში. და ისმება საკითხი, რომელიც დაუყონებლივ პასუხს მოითხოვს: შეუძლიან თუ არა რომელიმე ქართველს, რა მსოფლმხედველობისაც უნდა იყოს, რუსეთის ამ კოალიციაში დარჩეს. მას უმაგრებდეს თავის იქ ყოფნით მხარს, გინდ „ოპოზიციაშიაც“ იყოს.

მე ჩემის სრულის შეგნებით უნდა განვაცხადო, რომ არა და ათა-აჯერ არა. ეს იქნება მებრძოლი ქართველი ერის აშკარა დალატი და ეროვნული ზნეობის მიხედვით, ყოვლად დაუშვებელი დანაშაული. დროა, ამ სავალალო მდგომარეობას ჩაუკვირდეს ვისაც ეს ეხება და სათანადო დასკვნაც გააკეთოს. დროა, შევიგნოთ, რომ ამ ხალხის და ქართველების სავალი გზა დიდი ხანია გაიყარა. დაგვიანება და შემდეგ თითზე კბენანი საქმეს ველარ გამოასწორებს.

დ. საღირაშვილი

კონფედერაციის მარტივი კულტურისათვის

კავკასიელ ერთა დამოუკიდებელი ცხოვრების მოკლე სინამდვილემ ერთი მეტად მარტივი და ცხადი ჭეშმარიტება დაგვანახვა.

ცალ-ცალკე ყოფნა და მეზობლების ბედისადმი ინდიფერენტობა ჩვენ საერთო მტრის მოულოდნელი მოკავშირე შეიქმნა და ჩვენი თავისუფლების მესაფლავე გახდა.

ამ სადა ჭეშმარიტების შეუგნებლობამ, ჩვენ გაგვხადა ჩვენ ერთა თავისუფლების მკვლელობის მონაწილენი.

ასეთი მძიმე გაკვეთილი ფუჭად არ ჩაივლიდა და, მიუხედავად ამისა, რომ ამ ჭეშმარიტების გვერდის ახვევამ საკმაოდ გააშიშვლა ერთი ხელმძღვანელობის ინტელექტუალური სილატაკე და ზნეობრივი სიკოტრე, დღეს კავკასიელთა შორის ძნელად მოიძებნება პირი, რომელიც ჩვენ ხალხთა მტკიცე კავშირის საჭიროებას არ გრძნობდეს; ყოველ შემთხვევაში, ამის წინააღმდეგ გამოდიოდეს.

კავკასიელ ერებს საკმაოდ საერთო ინტერესები აქვთ დასაცავი; ამ მთავარი პირობით, კონფედერაციულ, ესე იგი, საერთო ცხოვრების მოწყობას არც ხელოვნური შექმნა, არც ძიება სჭირია.

მაგრამ გარეშე ამ რადიკალური პირობისა, რომელიც, ღვთით, ბოძებული გვაქვს, კონფედერაცია გულისხმობს სხვა მეორე ხარისხოვან პირობებსაც, რომელთა შორის ერთი, ჩვენი კავკასიური ტემპერამენტის წყალობით, მთავარ პირობის მნიშვნელობას აღწევს.

ეს პირობა გახლავთ ერთი მეორის პატივისცემა. ყოველ კონფედერაციაში შემავალი ერის ისტორიის, მისი ზნე-ჩვეულებათა და ადრეადა სიყვარული და თუ სიყვარული არა ყოველ შემთხვევაში „პატივისცემა“ მეთქი. სამწუხაროა, ამაზედ წერა გვიხდება, რადგან ეს მეტად მარტივი კულტურული ადამიანის თვისება არის, და საუბედუროდ ეს მარტივი კულტურა, ჩვენს პირობებში აუცილებელი, ზოგიერთ „სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეს“ და „რედაქტორებს და ჟურნალისტებს“ არამც თუ აკლიათ, არამედ სრულიად არ გააჩნიათ. ჩვენ არას ვიტყვით ამ წერილში ზოგიერთ „ჟურნალისტების“ იმ კომსომოლურ სტილზედ, რომელთაც საუკუნოებრივი ქართული ტრადიცია მეტად გააიაფეს, უფროს ადამიანთა და საზოგადოების სამსახურში ჭადარა მოსილ პირთა „ნახალოვკური“ ლიტერატურით უმასპინძლდებიან. ბევრ მათგანს უფრო მეტი ტანჯვა და ვაება გადაუტანია ეროვნულ საქმისათვის, ვიდრე ეს ქუჩური პროზაა.

მხოლოდ ერთი მოვლენა არის მეტად საზარალო ეროვნულის თვალსაზრისით — ის მეტად მდაბალი კომპანია, რომელსაც ემიგრანტული პრესის ერთი ნაწილი აწარმოებს ბ-ნ ბამატის წინააღმდეგ.

„ვილაც კუმიკი ჩვენს საქმეში ერევა, ბამატ ფაშა ოსმალეთის აგენტი, ბამატი იმ ლეკების ჩამომავალი, რომელნიც კახეთს არბევდნენ და სხვა“... ეს ჩვენ საპოლემიკოდ არ მოგვყავს. არა! მხოლოდ ერთი

რამ გვინტერესებს: როგორ ესმის ამ ხალხს კონფედერაცია? თუ მათ საგაზეთო წერილებს დაუკვირდებით, გამოდის, რომ კონფედერაცია უნდა იყოს საქართველოს გეგმონია კავკასიაზე, ესე იგი, კავკასიაში მცხოვრები სხვა ერები, ამ კონფედერაციაში, ისეთივე უფლებებით უნდა შედიოდნენ, როგორც, მაგალითად რომელიმე ახალშენი თანამედროვე იმპერიებში. სხვა კავკასიელ ერთა შვილებს უფლება არა ჰქონიათ, რომ საერთო სამშობლოს ბედზედ არამც თუ იზრუნონ, არამედ აზრიც გამოსთქვან და დასწერონ. ასეთი „ნეო ნახალოვკური“ კონცეპცია იმ სახელმწიფოებრივი ფორმისა, რომელსაც კონფედერაცია ეწოდება მეცნიერებაში, ჩვენთვის მართალი გითხრათ, არამც თუ უარსაყოფია, არამედ აუტანელიც.

ჩვენ გვინდა საერთო ცხოვრება ჩვენ მოძმე ერებთან, ერთმანეთი-ქადმი ნდობაზედ, ძმურ სიყვარულზედ და ერთი მეორის ჭირის და ლხინის გაზიარების ნიადაგზედ ავაშენოთ. კავკასიელის ნიქს კავკასიაში არაფერი არ უნდა გადაეღობოს, იქნება ის ქართველი, მთიელი, სომეხი, ადერბეიჯანელი თუ „კუმიკი“. კავკასიელმა კავკასიით უნდა ია-მაყოს. მენშევიკური თუ პრომენშევიკური ქართული პრესა ასეთი უშნო, ყოველგვარ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს მოკლებული კომპანიით, ცუდ სამსახურს უწევს კავკასიას, მისი თავისუფლების იდეალს, საქართველოს და ქართველობას და თვით თავის თავსაც, რადგან ესეც უნდა იცოდეთ, რომ თუ ბ-ნ ბამატს საკმარისი კულტურა აქვს, რომ თქვენს უკულტურობას ზიზღით ჩაუაროს, სხვას და მაგალითად, თქვენს მეგობარ რასულ-ზადეს შეიძლება ეს არ აღ-მოაჩნდეს.


საქმის გაკეთება რჩეულთა ხვედრია, გაფუჭება-კი ყველასათვის ხელმისაწვდომი.

დინარელი

ჩემს ბრალმდებელთ

(გაგრძელება)

არსებობს ერთი ფრიად საყურადღებო ქეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ფილოსოფია გვასწავლის და რომელიც შემდეგში მდგომარეობს, რომ საგანთა შორის არავითარ განსხვავებას არ ჰქონდეს ადგილი, რომ მაშასადამე არსებობდეს მათ შორის აბსოლუტური იგივეობა, მი-შინ სრულებით ზედმეტი იქნებოდა ცოდნა და მასზე დამყარებული მეცნიერება. მხოლოდ რომ წინააღმდეგ მდგომარეობას ჰქონდეს ად-გილი, რომ მაშასადამე საგანთა შორის არავითარი მსგავსება არ არსე-



ბობდეს, რომ მაშასადამე ჩვენ საქმე გვქონდეს მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტურ განსხვავებასთან საგანთა შორის, მაშინ ცოდნა და მასზე დამყარებული მეცნიერება შეუძლებელი იქნებოდა. აქედან დასკვნა ადვილია: ცოდნა, სწავლა-მეცნიერება გულისხმობს ერთ და იგივე დროს მსგავსებას და განსხვავებას საგანთა შორის. ეს მსგავსება და განსხვავება შესაძლებლად ხდის საგანთა კლასიფიკაციას თანახმად მათ გვარეულ და სახეულ ნიშნობლივ თვისებათა. სინამდვილე, რომელთანაც ადამიანის გონებას საქმე აქვს, წარმოადგენს თვალუწვდენელ გრადაციას მსგავსება-განსხვავებისას და იგივე ერკვევა ამ დაუსრულებელ სამყაროში ცნებათა საშუალებით, ვინაიდან სწორედ ცნებაში ჩამოყალიბებულია მსგავსება და განსხვავება, საგნის გვარეული და სახეული ნიშნობლივი თვისებანი. ყოველი ცნება წარმოადგენს პუნქტს, საიდან გონების წინაშე იშლება ჰორიზონტი ერთის მხრივ მაღალისა და მეორეს მხრივ დაბალ საფეხურებისაკენ მიმავალი.

ყოველ ცნებას, რომელიც ამა თუ იმ სახის რეალობას გამოხატავს, შეიძლება ჰქონდეს ან სუბსტანციური ან ფუნქციონალური ხასიათი. სუბსტანციურია ცნება, როცა საგანს, მასში გამოსახულს ადამიანი ფიზიკურად გრძნობს, მაგ. შეუძლია თვალთ დაინახოს, ხელით შეეხოს. მხოლოდ როდესაც საგანთან ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია, როდესაც ამა თუ იმ ცნებაში გამოსახული რეალობა გამოხატავს ურთიერთობას, მაშინ ცნება იგი ფუნქციონალურია.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ცნება „მკვდარი სული“, რომელიც მე ვიხმარე ბ. ასათიანის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე დამსწრეთა მიმართ, არ გამოხატავდა იმავე შინაარსს, როგორც მკვდარი სულნი, რომელთაც გოგოლევის გმირი ჩიჩიკოვი ყიდულობდა, ისინი ე.ი. კონფერენციის წევრნი, რომელთა შორის ამ სტრიქონების დამწერიც იმყოფებოდა არ წარმოადგენდნენ მიწას მიბარებულ გვამებს. მაშასადამე მე ეს ცნება „მკვდარი სულები“ ვიხმარე მისი ფუნქციონალურის მნიშვნელობით, მე მინდოდა მხოლოდ იმის თქმა, რომ ბ. ა. ასათიანის გეგმის თანახმად ჩვენი როლი იყო იგივე, რაც ჩიჩიკოვის მკვდარი სულების, ესე იგი მხოლოდ და მხოლოდ ბ. ალ. ასათიანის პირად კეთილდღეობისათვის საჭირო ბნელ კომბინაციების უნებლიეთ იარაღის.

ასეთივე ფუნქციონალურის მნიშვნელობით ვიხმარე მე ცნება „სვოზი“, ამ ცნებით მე გამოვხატე ის ფრიად არანორმალური ურთიერთობა, რომელიც, თანახმად ბ. ასათიანის გეგმისა, უნდა დამყარებულიყო მასსა და „კონფერენციაში“ მონაწილეთა შორის. მე სრულებით არ მქონდა განზრახვა რამე ჭრილობა მიმეყენებია კონფერენციაზე დამსწრეთათვის, მათ შორის ვიმეორებ მეც ვიმყოფებოდი. მე სრულებით არ მინდოდა მათ ბრალმდებლად გამოვსულიყავი, რომელთაც ამ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს. არც ერთი ჩვენთაგანი არ იყო ვალდებული გვეცოდნოდა, რომ ბ-ნი ასათიანი ნ. ჟორდანიას მიერ გადმოგდებულ ლუკმისათვის საერთო საქმეს ჰყიდდა.



დღეს „სამშობლოს“ ფურცლებზე შეურაცყოფილისა და „შეურაცყოფილთა“ დამცველის პოზაში კონფერენციის მდივანი ბ. გრ. აბულაძე გამოდის. მე ხომ ვიცი, რომ ბ-ნი აბულაძე მდივნად იყო არჩეული, მაგრამ ჩემს სტატიაში მე იგი ერთხელაც არ მიხსენებია, ვინაიდან პასუხისმგებლად იმ სიყალბეთათვის, რომელიც „სამშობლოს“ რედაქციამ ჩაიდინა, მე მხოლოდ და მხოლოდ ბ. ასათიანს ვსთვლიდი, ბ-ნ გრ. აბულაძეს მდივნობას მე ფიქციად ვსთვლიდი და ეს არა იმიტომ, რომ ბ. გრ. აბულაძე უნიჭო ახალგაზრდაა, ან მდივნობა ისეთი რთული საქმეა, რომელსაც იგი ვერ მოერევა; რაც უნდა ადვილი საქმე იყოს მდივნობა, მისი ცოდნა ზეციდან არ ვარდება, მასაც გამოცდილება სჭირია, ბ. ასათიანის სკოლაში კი ადამიანი სიავისა და სიბინძურის მეტს ვერაფერს ისწავლის და ამას ბ. გრ. აბულაძეს სტატია ძალიან ნათლად ამტკიცებს. რადგან ბ. აბულაძე კისრულობს პასუხისმგებლობას ჟურნალ „სამშობლოს“ სიყალბეთათვის და თავის მხრივაც მრავალ სიყალბეთ უმატებს, ამიტომ იძულებული ვარ მის მიერ მოყვანილ საბუთებს კბილები გაუსინჯო.


მომმართავს რა მე, ბ-ნი აბულაძე სწერს: „თქვენ გვისაყვედურებთ, რომ „პროტოკოლები“ წესისამებრ არ დამტკიცებულა და თქვენ მასზე ხელი არ მოგიწერიათ. მოვახსენებთ, რომ ოქმები შესდგა და დამტკიცდა საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით და თქვენც ორჯერაც მოაწერეთ ხელი — ერთი ყრილობის მდივანთან და მეორე ყრილობის თავმჯდომარის წინ საგანგებო ხელწერილზე, მაგრამ როგორც ქვევით დავინახავთ, თქვენ არასოდეს გახსოვთ რასა სწერთ და რა ვალდებულებებს აწერთ ხელს („სამშობლო“ 6. 25—26).

მეორე ალაგას ბ-ნი გრ. აბულაძე ბრძანებს: „ჩვენ არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად ყრილობის ოქმის ანუ როგორც თქვენ უწოდებთ „პროტოკოლის“ (ეს ტერმინი მე სრულებით არ მიხმარია. ვლ. ე.) დაბეჭდვა და მოვათასეთ მხოლოდ მისი მოკლე შინაარსი (ხაზს მე უსვა ვ. ე.), რადგან ყრილობაზედ ნათლად იყო აღიარებული, თუ რატომ არ დაიბეჭდებოდა მთლიანად მისი ოქმები. ასევე ნათლად არის აღნიშნული ჟურნალ „სამშობლოში“ მოთავსებულ მოკლე ანგარიშშიდაც, სადაც შავით თეთრზე სწერია: „კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებანი და მათი განხილვის ოქმი ამ ჟამად არ დაიბეჭდება; ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ აღვსახავთ უმთავრეს მომენტებს“ (იქვე).

ბ-ნ აბულაძეს მე უნდა მოვახსენო, რომ „საყოველთაოდ მიღებულ წესის მიხედვით, რომელზედაც მას იოტის ოდენა წარმოდგენა არა აქვს, ოქმზე ჩემი ხელის მოწერა არც სავალდებულო იყო და არც ჰქონია ამას ადგილი. მე ყრილობის არც თავმჯდომარე, არც მდივანი ვიყავი, არამედ უბრალო მონაწილე, და თუ მდივანმა ოქმზე ყველა მონაწილეს ხელი აწერინა, მაშინ მას თვით ოქმის შედგენისათვის დრო აღარც კი ექნება. მე ეს სრულებით არ მომიტხოვია ბ-ნ აბულაძესთვის. ორში ერთი, ან ბ-ნ აბულაძემ განიზრახა ვრცელ ანგარიშების შედგენა, ამ შემთხვევაში მას უნდა მოეთხოვა ავტორებისაგან წარმოთქმულ

სიტყვების კონსპექტები, ავტორთა მიერ შედგენილი უნდა მოეთავსებინა ოქმში, ან უნდა შეედგინა მოკლე ოქმი, ამ შემთხვევაში მის მიერ შედგენილი ამა თუ იმ კრების ოქმი შემდეგ კრებაზე უნდა ყოფილიყო წაკითხული, განხილული და კრების მიერ დამტკიცებული. ბ. აბულაძე თვით აღიარებს, რომ „სამშობლოში“ მოთავსებული ეგრედ წოდებული ანგარიში ოქმი კი არ არის, არამედ ოქმის „მოკლე ანგარიში“, მაშასადამე ბ-ნ აბულაძის საკუთარი ფაბრიკაცია, ეს არის სწორედ ის, რასაც მე ვსწერდი. ამ ბ-ნი აბულაძის საკუთარ ფაბრიკაციას მე უწოდებდი ტენდენციურ მიზნით შედგენილ კორესპონდენციას. თუ კორესპონდენტს შეუძლია ასეთი რამე ჩაიდინოს, მდივნის მხრივ ეს ყოველად დაუშვებელია. დამახასიათებელია, რომ სწორედ ის, რასაც ბ. აბულაძე უწოდებს ოქმის მოკლე ანგარიშს, ე.ი. ანგარიშის ანგარიშს, შეიცავს სრულ ტექსტს ბ-ი ასათინის ლიტერატურას; თუ შეიძლებოდა ბატონ ასათინის სრული ტექსტის მოთავსება, რა უშლიდა ბ-ნ აბულაძეს, რომ საზეიმო კრების ანგარიში მაინც საყოველთაოდ მიღებულ წესით შეედგინა და ამ სახით გამოექვეყნებინა და არა თავისი საკუთარი ფანტაზიები ეწერა ჩემს მოხსენების შესახებ, რომელიც უფრო მეტ ხანს გაგრძელდა ვინემ ყველა მოხსენებები ერთად აღებული? თანახმად წინასწარი შედგენილი გეგმის, საზეიმო კრების მომხსენებელთ ეძლეოდათ დრო მხოლოდ 15 წუთი. მე შევამჩნიე, რომ ეს მოხსენებანი საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებული იყო, ესე რომ საზეიმო კრება ბოლოს და ბოლოს მოსაბეზრებელ და სრულიად უნაყოფო კრებად უნდა ქცეულიყო. მე განვიზრახე გამეკეთებია რთული ხასიათის მოხსენება ისეთი სახით, რომ საზოგადოებისათვის ეს საინტერესო ყოფილიყო. ამისათვის ჩემთვის 15 წუთი საკმარისი არ იყო. მხოლოდ, ვინაიდან 15 წუთის შემდეგ თავმჯდომარეს ნება ჰქონდა მე შევეჩერებინე და რომ ასეთ შეჩერებას არ ჰქონოდა ადგილი, ამიტომ საჭირო იყო, რომ მე ჩემი მოხსენება ისე ამეგო, რომ იგი როგორც თავმჯდომარისა აგრეთვე საზოგადოებისათვის საინტერესო ყოფილიყო.

ჩემი მოხსენება ეხებოდა განსვენებულ ჯოტო შერვაშიძეს და კოტე აფხაზს, პირველად მე უნდა მელაპარაკა ჯოტო შერვაშიძეს შესახებ, „სამშობლოში“ მოთავსებულ ბ. აბულაძეს ფაბრიკაციის თანახმად პირველად მე არა ჯოტო შერვაშიძესა არამედ კოტე აფხაზის შესახებ მილაპარაკნია. მე ვგულისხმობდი, რომ ჩემი მოგონებანი ჯოტო შერვაშიძის შესახებ და მასთან შეკავშირებული ფაქტები აბხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებიდან საზოგადოებისთვის არ იქნებოდა მაინც და მაინც საინტერესო, ამიტომ მე განზრახული მქონდა შევხებოდი მხოლოდ პირველ ეტაპს აბხაზეთში ჩვენ მიერ წარმოებულ ბრძოლისას, რათა 15 წუთის გათავებისას გადავსულიყავი კოტე აფხაზზე. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ მე ჯოტო შერვაშიძის შესახებ მოხსენებას მალე მოვათავებდი და დავიწყებდი მოგონებას კოტე აფხაზის შესახებ თავმჯდომარე მე არ შემაჩერებდა და საზოგადოებისათვის მოხსენება მასში მოთხრობილ ფაქტების გამო საინტერესო იქნებოდა. იმ დღეს გამოცდილი მსმენელი ადვილად შეამჩნევდა, რომ მე ოვით მოხსენების პროცესში გავაფართოვე შინაარსი მოხსენების. მე



დავინახე, რომ საზოგადოება დიდის ყურადღებით ისმენდა მოხსენებას, მაშინ მე გადავსწყვიტე აბხაზეთის წარმოებულ ბრძოლის მეორე ეტაპსაც შევხებოდი და ამნაირად მოხსენება ბოლომდის მიმეყვანა. ასე რომ მე შევსძელი ვრცელის მასშტაბით მოხსენების გაკეთება და იგი, რამდენად მახსოვს ერთ საათზე მეტი გაგრძელდა. განსვენებულმა სოსო მდივანმა, რომელიც იმ კრებას დაესწრო მე, მოხსენებისათვის მადლობა გამომიცხადა. ჩემმა მეგობრებმაც მადლობა გამომიცხადეს. მათი აზრით მე იმ დღეს საზეიმო კრების მომწყობთ სამსახური გაუწიე. ჩემთვის ძვირფასი იყო ის გარემოება, რომ მე განვახორციელე დიდი ხნის ნატვრა, ქართულ საზოგადოებასთან ერთად პატივი ვეცი ჩემთვის ძვირფას საფლავებს. მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ „სამშობლოს“ რედაქციამ ეს მოხსენება ბინძურ მიზნისათვის გამოიყენა. ჩემს მოხსენებაში ჰაიდარ ბამატზე მხოლოდ ერთი ფრაზა ითქვა, მართალია, ფრაზა იგი, რამდენადაც მახსოვს იყო მაგარი, მაგრამ ვიმეორებ, იყო მთლად და მხოლოდ ერთი ფრაზა. ჟურნალ „სამშობლო“ მთელს ჩემს მოხსენებას რამოდენიმე ფრაზით ისტუმბებს და მათში მთავარ ადგილს ჰაიდარ ბამატს უთმობს, თვით ამ სახელს ხაზს უსვამს. ამრიგად მოხსენება, რომელიც ჯოტო შერვაშიძესა და კორტე აფხაზს ეხებოდა „სამშობლომ“ ჰაიდარ ბამატის შესახებ მოხსენებად აქცია და ბ. აბულაძე ბედავს ასეთ ლიტერატურულ სიბინძურეს გამართლებას!

როგორ იმართლებს თავს ბ. აბულაძე?

მოუსმინოთ თვით მას: „თქვენ გავიწყდებათ ბ-ნო ემუხვარო, რომ თქვენი სიტყვები და ბამატის დახასიათება წარმოთქმულ იქმნა არა მარტო ყრილობის წინაშე, არამედ თვით საზეიმო სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ სხვა და სხვა დაჯგუფებათა წარმომადგენელი და ჩვენ მზად ვართ, როდესაც გნებავთ გამოვაქვეყნოთ ამ დამსწრეთა დამოწმებული, თქვენი დაფასება ბ. ბამატისა.“ („სამშობლო“ № 25/26. გვ. 35). ყრილობაზე ბამატის შესახებ ყოფილა ლაპარაკი, როცა მე იგი ყრილობა დატოვებული მქონდა, მაშასადამე მე არ შემიძლო მელაპარაკა ბამატის შესახებ ისეთ კრებაზე, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, მხოლოდ იმ კრებებზე, რომელთაც მე დავესწარი ისეთი საკითხები ირჩეოდა, რომელთაც ბამატთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მე ვილაპარაკე ბამატის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ საზეიმო კრებაზე. თუ ამ საზეიმო კრებას დაესწრენ სხვა და სხვა დაჯგუფებათა წარმომადგენელი, მათ სრული უფლება ჰქონდათ გამოეყენებინათ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვა ბ. ბამატის შესახებ, ერთ დამსწრეს ჩემს მეგობარ ჟურნალისტს მე კიდევაც მივეცი ამის ნებართვა და თუ მან ამ ნებართვით არ ისარგებლა მიუხედავად იმისა, რომ ასათიანზე ნაკლებათ არ არის ბამატისა და „კავკაზის“ წინააღმდეგ მტრულად განწყობილი, ეს იმიტომ, რომ მას უფრო მაღალი წარმოდგენა აქვს ჟურნალისტის მოვალეობაზე ვიდრე ასათიანს და მის დამქაშებს.

ბ. გრ. აბულაძე განაგრძობს: ჩვენ შეგვიძლიან გარდა ზემოდ აღ-



ნიშნულ საბუთებისა, წარმოგიდგინოთ აგრეთვე თვით თქვენივე ხელით, ყრილობის შემდეგ დაწერილი საბუთები. თქვენ აღიარებთ თქვენ წერილში, რომ ბამატი იყო დიპლომატიური მრჩეველი იმ ჯგუფისა, რომელიც აფხაზეთში მუშაობდა სულთანის ოსმალეთის აგენტების ხელმძღვანელობით.

ყრილობის პრეზიდიუმის ერთი წევრისათვის მიწერილ წერილში, უკვე „კავკაზის“ თანამშრომლად გახდომის შემდეგ, თქვენ ადასტურებთ ყოველივეს, რაც წარმოსთქვით ყრილობაზე ბამატის შესახებ და მის წარსულ მავნე მოღვაწეობაზე და დაასკვნით: „მე კონფერენციაზე აღვნიშნე უტყუარი ფაქტები, რომ ბამატი საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდა“ (იქვე. „სამშობლო“ № 25/26).

წერილი, რომელზედაც ბ-ნი აბულაძე ლაპარაკობს და რომლიდან მას ერთი ფრაზა მოჰყავს (ალბათ ზნეობრივმა სიფაქიზემ შეუშალა ხელი ბ. აბულაძეს სხვა ადგილები მოეყვანა! ვ. ე.), არის წერილი ბ-ნი ასათიანის მისამართით. იგი დაწერილია უფრო ადრე ვინემ გამოვიდოდა „სამშობლოს“ ის ნომერი, რომელშიაც ბ. ასათიანმა და ბ. აბულაძემ ჩემს მოხსენებაზე თავიანთი ბინძური მანიპულაცია მოახდინეს. თუ იმ წერილში მათ საკმარისი მათთვის საჭირო საბუთი ნახეს ბ. ბამატის წინააღმდეგ, რატომ მათ იგი არ გამოაქვეყნეს? მე იმ წერილის შინაარსი ვრცლად გავუზიარე სოშოში ბ. ასათიანის ყოფილ მომხრეებს. სანამ ბ-ნი ასათიანი სოშოს ჩამოვიდოდა თავის რეზოლუციის დასაცავად, მან დაიწყო ლიტერატურული შანტაჟი ჩემს წინააღმდეგ წერილით. ამაზედ მე ღირსეული და სასტიკი პასუხი გავეცი, მისმა ყოფილმა მომხრეებმა, რომელთაც კიდევ სჯეროდათ ბ. ასათიანის პატიოსნება, სანამ ის წარსდგებოდა სოშოს ქართველთა კრებაზე, როგორც გატიტვლებული მენშევიკების მიერ დაქირავებული მომხსენებელი, სთხოვეს მას, რომ მას ჩემი წერილის ნაგლეჯი კი არა, მთელი ტექსტი წაეკითხა მათთვის. ასათიანმა ამაზე უარი სთქვა. დღეს ბ. გ. აბულაძე ვაჟკაცის პოზას ღებულობს და ამბობს, ჩვენ შეგვიძლია თქვენი წერილი „კავკაზს“ გაუგზანოთ დასაბეჭდათო. კეთილ ინებეთ და გაუგზანეთ, ამისათვის მე მხოლოდ მადლობას მოგახსენებთ, ვინაიდან სანამ იგი თქვენ ხელშია, ყოველგვარი ბინძური მანიპულაციაა შესაძლებელი. . თუ კი საჭირო შეიქმნა მისი დაბეჭდვა, საჭირო იქნება ჯერ მათი კალიგრაფიული ექსპერტიზა. ასეთი ექსპერტიზა საჭიროა ყოველი წერილისთვის, რომელიც თქვენს ბინძურ ხელებში გაიარს.

მე სრულიად გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ჩემის მხრივ ჩემს მოხსენებაში ბ. ბამატის სახელის ხსენება უტაქტობა იყო, მით უმეტეს, რომ პირადათ მე ბ. ბამატთან საქმე არასოდეს არ მქონია. თუმცა მე სრულებით არ ვიცნობდი პარიზში ყოფნის დროს ბ-ნ ბამატის ორგანოს, მაგრამ ჩემთვის სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ამ ორგანოში ბ-ნი ავალიშვილი თანამშრომლობდა და იქ, სადაც კონფლიქტია ბ. ავალიშვილსა და ასეთ კაცუნებს შორის,



როგორც არიან ასათიანი და მისი კომპანია, იქ აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ სიმართლე ავალიშვილის მხარეზეა. რასაკვირველია, ასეთ შეცდომის გასწორება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ არა მაშინ, როდესაც საქმე ზნედაცემულ შანტაჟისტებთანა გვაქვს.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერებისათვის თავსლად დამსხმელია ის ფაქტი, რომ ბ. ავალიშვილი საქართველოსათვის მუშაობაში არა მათ, არამედ მენშევიკებმა ჩააბეს. თუ ეროვნულ დემოკრატი ჯოტო შერვაშიძე 1917 წლის რევოლუციის პირველ დღეებშივე დებეშას მიგზავნიდა მე, იმ დროს სოციალ დემოკრატს, რომ დაუყონებლივ სოხუმს ჩამოვსულიყავი, მით უმეტეს ასე უნდა მოქცეულიყვნენ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერები ავალიშვილის მიმართ, ერთ დღეს არ უნდა გაეჩერებინათ მათ ავალიშვილი პეტრეს ქალაქში. მაგრამ სანამ ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობას ხელმძღვანელობენ ასათიანები, ავალიშვილების ბედი იქნება მხოლოდ ერთად ერთი როლი — როლი უმუშევარის. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერებს გულში ტახტი ედგა არა სამშობლოსადმი სუფთა სიყვარულის, ყოველივე პირად ინტერესებისა და პირად სიმპატია-ანტიპათიისაგან თავისუფალი, არამედ აღვირ წახსნილ პირად ამბიციის. ბ-ნ ასათიანის პოლიტიკაში ამას მიემატა აგრეთვე მატერიალური კეთილდღეობის ძებნა და სხვა გზა ვერ გამონახა, ვინემ მენშევიკების სამსახური, ბ. ნ. ჟორდანიას მიერ გადმოგდებულ ლუკმისათვის. იმის მაგივრად რომ ვაჟკაცურის სიამაყით და მისიონურის აღტყინებით აედო ტვირთი ფიზიკურ შრომის, მან უჩვენა მაგალითი შრომისგან ლაჩრული გაქცევის, რომელსაც ჩვენი მარქსისტული დოქტრინა ხელს უწყობდა და რომლითაც იგი ერის წინმსვლელობასა და მის მომავალს ნიადაგს უთხრიდა. შრომის საშუალებით პირად მატერიალურ განზრახვებზე ზნეობრივი ამალღება, სისხლით და ოფლით განბანილი სული სრულებით სხვა გზას უჩვენებდა ბ-ნ ასათიანს, ვინემ ის გზა რომელიც მან აირჩია და რომელიც პოლიტიკურ ლაქიობას წარმოადგენს.

თუ რა ღირსების არის ის სიყვარული სამშობლოსადმი, რომელზედაც ამდენი ილაპარაკეს და სწერეს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის უღირსმა ლიდერებმა, ამის დასახასიათებლად მე მინდა მოვიყვანო მაგალითი ფრანგულ ლიტერატურიდან — ერთი მწერალი ეხება სიყვარულს თავის გმირისას, რომელსაც სახელად ალექსანდრე ჰქვია, ძეხვისადმი და სცდილობს უჩვენოს მკითხველს, რომ ეს სიყვარული არ არის ჭეშმარიტი სიყვარული. თქვენ ფიქრობთ, ეუბნება იგი მკითხველს, რომ ალესანდრეს ძეხვი უყვარს, მაგრამ თქვენ სცდებით, მას ძეხვი კი არ უყვარს, არამედ ის თუ როგორ მიირთმევს იგი ძეხვსაო.

ბ-ნ ალ. ასათიანს და მის კამპანიას სამშობლო კი არ უყვართ, არამედ საკუთარი ლაყობა და ჯღაბნა სამშობლოს სიყვარულის შესახებ. რომ ე სასე არ ყოფილიყო მაშინ მათ მუშაობას 18 წლის განმავლობაში სრულებით სხვა ნაყოფი ექნებოდა, ვინემ ის სამარცხვინო

დაქუცმაცება და არევ-დარევა, რომელიც ქართულ პატრიოტულ ბანაკში ბატონობს.

როდესაც ბ-ნ ზურაბ ავალიშვილმა მწარე, მეცნიერული ანალიზი გაუკეთა კავკასიის ერთა ტრალიკულ ბედ-იღბალს და გამოარკვია მათი გაუბედურების ძირითადი მიზეზები, ბ-ნ ბამატმა მიიღო ეს დიაგნოზი ბ-ნი ავალიშვილის და მისგან ლოდიკურად გამომდინარე დასკვნები. ორთავემ შეერთებულის ძალით შეჰქმნეს დიადი საქმე; იმათ კი რომელთაც 18 წლის განმავლობაში ინტრიგებისა და ჩხირკედელაობის გარდა არაფერი გაუკეთებიათ და არაფერს აკეთებენ, მორთუ! მხეცური ბლავილი, შავ ყვავისებური ჩხავილი. როდესაც სოც. დემოკრატები ამას სჩადიან, ბუნებრივია, იმათ სისაძაგლე პროგრამაში უწერიათ, როდესაც კი ასეთ რასმე ეროვნული დემოკრატები ჩადიან, რომელთაც პროგრამაში სისაძაგლესთან ბრძოლა უწერიათ, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ზიზღის ღირსნი არიან.

ვ. ემუხვარი

(გაგრძელება იქნება)

შეცდომის გასწორება


ჟურნალ „კავკასიის“ ივნისის ნომერში ე-17 გვერდზე ქვედან მე-8 სტრიქონზე დაბეჭდილია: „ტრანსედენტალური“. უნდა იყოს: „ტრანსცედენტური“.



პ რ ე ს ა

„თურქოზილები“ თუ „თურქოზობები“?

ერთად ერთი სწორი, ახდელი და პატიოსნური პოლიტიკა — რთქმა უნდა ჩვენი — მენშევიკურმა პრესამ და მისმა ამყოლმა „ნაციონალისტურ - ფაშისტურ - მონარქისტულმა გამოცემებმა, შეაჩვენეს, დაჰკმეს, გასჭორეს და მისი მიმდევარი ხალხი საქართველოს და კავკასიის მტრებად გამოაცხადეს. მაგრამ საერთო კავკასიურ პოლიტიკას მარტო ჩვენი მიმართულება არ იზიარებს. „საერთო“ კავკასიურ პოლიტიკას, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას „ბრიუსელის კონფედერატიულ პაქტს“ ბ. ჟორდანიაც აწარმოებს. ვლადპარაკობთ „ბრიუსელის კონფედერატიულ პაქტზედ“, რომელსაც ნამდვილ კავკასიურ კონფედერატიულ იდეასთან საერთო არაფერი აქვს და მოგონილია მხოლოდ იმისთვის, რომ მენშევიზმმა ემიგრაციაში თავისი წუთისო-



ფელი როგორმე გააჩანჩალოს. მიუხედავად ამისა და ალბად იმავე მოსაზრებით „ბრიუსელის პაქტს“ მენშევიკების გარდა „ადერბეიჯანის“ და „მთის“ წარმომადგენლებიც აწერენ ხელს. მაგრამ ჯერ არავის ახსოვს, რომ ერთიც არის, მენშევიკებს თავისი პოლიტიკური მეგობრების შეხედულობა საერთო კავკასიურ საკითხებზედ თავისი ქართული მრევლისთვისაც გაეცნოთ.

ყურადღების ღირსი მენშევიკებისათვის, „თურქოფილები“, ტერიტორიის გამცემნი და ათასი სხვა რამ მარტო „კავკასიის“ ჯგუფი და განსაკუთრებით მისი ქართული ფრთა ყოფილა. მათი ყურადღებაც მარტო აქეთკენ არის მიქცეული. მაგრამ, რათა ჩვენმა მკითხველმა დაახლოვებით წარმოდგენა მაინც იქონიოს თუ ვინ არის „თურქოფილი“ ან ვინ მეგობრობს „თურქოფილებს“, ზურაბ ავალიშვილი და მისი წრე თუ ბ. ჟორდანიას და მისი მეგობრები, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ბ. ჟორდანიას პოლიტიკური მოკავშირის ბ. მაჰმედ-ემინ რასულ-ზადეს წერილი, ადერბეიჯანულ ჟურნალ „ყურთულუში“ დაბეჭდილი და ჟურნალ „კავკაზის“ მიერ გადმოთარგმნილი.

ცნობილი პანთურქისტი და ამავე დროს „ბრიუსელის პაქტის“ ხელისმომწერი ბ. რასულ-ზადე სწერს:

„თუ კი არსებობს ქართველთა შორის, და არა მარტო ქართველთა, ანტითურქული გამოსვლები, ეჭვი არ არის, რომ სათავეში მათ თავადი ზ. ავალიშვილი უდგას, ბამატის მარჯვენა ხელი. ჩვენი დავის ისტორია თავად ზ. ავალიშვილთან ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია. იგი დაიწყო ავალიშვილის წერილის გარშემო: „ღმერთების ბინდი აღმოსავლეთში“, რომელიც „კავკაზში“ დაიბეჭდა.

თავის წერილში, ავალიშვილი პრეტენზიას აცხადებდა, რომ სარწმუნოების მოსპობისთანავე ოსმალეთში და კავკასიაში, „ქართველი მაჰმადიანები, ლაზები და მთიელები“ თანდათან დაშორდებიან ოსმალეთს, ხოლო რაც შეეხება ადერბეიჯანს, ის გასპარსელდება.

თავად ავალიშვილის ნაწერებში „ქართველი მაჰმადიანები და ლაზები ქოროხის რაიონში“ გამოყვანილები იყვნენ როგორც მებრძოლნი. თავის დროზედ ჩვენ ამ მის მცდარ წარმოდგენას „პონტიური ავადმყოფობა“ უწოდეთ“.

„თავადი ავალიშვილი ჯერ კიდევ ამ ავადმყოფობისაგან არ განკურნებულა. თებერვლის „კავკაზის“ ნომერში, 1938 წ., ავალიშვილი თავის წერილში ყარსის, არტაანის და ართვინის ოლქებში 1927 წელს მომხდარ აღწერილობის გამო, სინანულს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ამ აღწერილობაში სულ არა სჩანს ისეთი ელემენტი, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებსო. ის ამბობდა:

„ეროვნული შეგნების ამ სტადიაში, უფრო კი ეროვნული შეუგნებლობისა, ჩვენთვის საყურადღებო ტერიტორიებზედ, ქართულ-მუსულმანური მოსახლეობა ჯერ კიდევ გუშინ სცხოვრობდა. ამ შეგნებაში რომ შესაფერ პირობებში, შესაძლებელია ცვლილებანი მოხდეს ამისი ეჭვი შეუძლებელია“ო. ესე იგი, ის ამბობს, რომ ქართველი მუ-

სულმანები, რომელთაც აღწერის დროს თავისი თავი თურქებად დასახელეს, ბოლოს და ბოლოს თავის ქართველობას იცნობენო.

ავალიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს პერსპექტივა „შეგნებისა“ უახლოეს დროში მოხდება. თუ კი რამ აწუხებს მას, ეს არის მხოლოდ ის, რომ ოსმალეთს ართვინის სამადნო მალაროების ექსპლოატაცია დაუწყვია, რისთვისაც სამწლელი გეგმაც შეუმუშავებია. ამის გამო „ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი უფრო მჭიდროთ გადაებმება ცენტრს (ოსმალეთს — „კავ.“), რაიცა გარემოება „კატასტროფაა ქართულის თვალსაზრისით“ო. ავალიშვილი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ათავებს:

„ყოფილ ბათუმის ოლქის ქართველი მაჰმადიანები განაგრძობენ ცხოვრებას იქვე ართვინის ვილაიეტში. ხოლო სად არიან სომხები არზრუმისა, ვანისა, მუშისა“-ო? — აი ერთი ათასთაგანი მაგალითი ბამატ - ავალიშვილის ანტითურქული გმოსვლებისა.“

პანთურქისტი და პანისლამისტი ბ-ნ რასულ-ზადეს ასეთი აზრები ჩვენთვის მოულოდნელი არ არის. მას არ მოსწონს ბ. ზურაბ ავალიშვილის შეხედულება, რომ ოდესმე, თუ უკვე არა, ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ქართულ ეროვნებას შეიგნებენ და მათში ქართული სისხლი ალაპარაკდება. მასა სურს, რომ ქართველები, რომლებიც დროთა ტრიალში მაჰმადიანები შეიქმნენ, თურქებიც გახდნენ. მაგრამ თუ ბ. რასულ-ზადესა აქვს უფლება, რომ „თეორეტიულადაც“ მაინც ადერბეიჯანის შვილმა, მეზობელ და ნათესავ ოსმალეთის საქმეებზედ იზრუნოს და ქართველების გათურქებას უთანაუგრძნოს, რაღა ბ. ზ. ავალიშვილს არა აქვს უფლება, თურქეთში მოყოლილ ქართველ მაჰმადიანებზედ იფიქროს და ამის შესახებ თავისი ქართული შეხედულება ჰქონდეს?!

მაგრამ დღეს ჩვენი საკამათო საგანი მარტო ეს არ არის. ამაზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს მეორე სკითხვს, ჭკვიანი მენშევიკური პრესის წყალობით, პირველ საკითხთან მჭიდროთ გადაწნულს — თუ ვინ არის, ბოლოს და ბოლოს ბ. ჟორდანი და რასულ-ზადესათვის, ზურაბ ავალიშვილი: „თურქოფილი“, როგორც ჟორდანია ფიქრობს, თუ „თურქოფობი“ როგორც რასულ-ზადე სწერს? ერთ ფრონტში, სადაც ჟორდანია - რასულ ზადე ერთად იმყოფებიან, როგორღაც ცუდი ქართული გამოდის ის ამბავი, რომ ჟორდანია ებრძვის ზ. ავალიშვილს, „თურქოფილს“, რომელსაც რასულ ზადე „თურქოფობისათვის“ ებრძვის.

დღე, გვიპასუხოს „ბრძოლის ხმამ“, ძველებურად - მენშევიკურად „საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის“ ორგანომ, რომლის პოლიტიკამ ორჯერ გადასცა ოსმალეთს საქართველოს მიწები: ერთხელ 1918 წელს, მეორეჯერ — 1921 წელს, ვინ იყო რომ ქართულ ტერიტორიებს სთმობდა და ვინ არის, რომ დღესაც ბ. რასულ-ზადესთანა პანთურქისტების და პანისლამისტების მოკავშირეა?



მენშევიკურ მინისტრების ჟურნალი

ვერავინ ვერ გაგვამტყუნებს, რომ მუდამ, როგორც კი ქართულ ემიგრაციაში რაიმე პროვოკაცია გაჩნდება, მისი სულის ჩამდგმელად და მასაზრდოებლად ყოველთვის მენშევიკ მინისტრების ჟურნალი „ბრძოლის ხმა“ გამოვაცხადოთ. არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ემიგრაციაში რაიმე პროვოკაცია წარმოებულყოფს და „ბრძოლის ხმას“ მისთვის კვერი არ დაეკრას. „აჯანყებულ საქართველოს სირდარი“ ცაგურია რომ მენშევიკური პუბლიცისტი, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია და „ბრძოლის ხმაც“ გამუდმებით იცავს მას. ეხლა „ახალი ივერიას“ უკრავს კვერს.

თავის დროზედ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „ახალი ივერიის“ უკანასკნელი წერილი პირდაპირ ტერორისაკენ მოწოდება იყო ჩვენს წინააღმდეგ და როგორც სიმართლე მოითხოვდა, აზრი გამოვთქვით, რომ ტერორის მქადაგებელთა ჯგუფის საქციელი, რომელიც თავის თავს გაუგებრობით ჟურნალის რედაქციას უწოდებს, მენშევიკური დიდი პროვოკაციით არის ნაკარნახევი. „ბრძოლის ხმა“ სავსებით ამართლებს ჩვენს შეხედულებას და თავ-შეუდებლად სწერს:

„ბამატის ხიზნებს ყოველგან და ყველაფერში მენშევიკების ხელი ელანდებათ. საკმარისია ვინმემ კრინტი დასძრას მათ წინააღმდეგ და მათი „სასახელო მამულიშვილობა“ ამხილოს, რომ იგი თუ მენშევიკი არა, მენშევიკების აგენტათ მაინც იქნეს გამოცხადებული. ასე გასინჯეთ, რომ ჟურნალი „ახალი ივერიაც“ კი თურმე „მენშევიკების ანკესს წამოჰგებია, მენშევიკების ინტრიგაში ჩათრეულა“ რაკი მან გაბედა და ამხილა ამირეჯიბისა და მისი ამაღლის მოღალატური მოღვაწეობა.“-ო.

ასე სწერს ყოფილ მენშევიკ მინისტრის ბ. კ. გვარჯალაძის ჟურნალი, ასე ადასტურებს „ამირეჯიბის და მისი ამაღლის მოღალატურ მოღვაწეობას“ და ასე ამართლებს „ახალი ივერიას“ ტერორისტულ ქადაგებას ჩვენს წინააღმდეგ.


ჩვენი მოვალეობაა „ბრძოლის ხმის“ მიერ ტერორის ასეთი წაქეზების საქციელს ერთხელ კიდევ გაუსვათ ხაზი...

ოქმებზედ და მდივანბეგებზედ...

ჟურნალ „სამშობლოს“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ფრიად ვრცელი და არეულ დარეული წერილი ბ.ბ. ვ. ემუხვარის და დიმ. ჭიაბრიშვილის წინააღმდეგ, რომელსაც ხელს აწერს „ავვისტოს ყრილობის მდივანი“ ბ. გრ. აბულაძე.

ჩვენდა მოულოდნელად ეს წერილი ასე იწყება:

„ბამატის „კავკასია“ ამ უკანასკნელ დროს ჭორებითა და ბოროტი ინსინუაციებით აღსავსე წერილებს ათავსებს ჩვენი გამოცემათა და ბ. ალ. ასათიანის შესახებ“-ო.



იძულებული ვართ „სამშობლოს“ ასეთი უმსგავსო სურვილი ჩვენს ჟურნალს მოახვიოს თავზედ, ვითომც „ქორებს“ და „ბოროტ ინსინუაციებს“ ათავსებდეს „სამშობლოზედ“ — სასტიკად დავგმობთ.

ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ ბ. გრ. აბულაძის „გამოცემათა და ბ. ალ. ასათიანის შესახებ“ ჩვენ ჟურნალს არავითარი სპეციალური კამპანია არ უწარმოებია. ამ ჟურნალთან ჩვენ არავითარ კამათში არ ჩავბმულვართ მაშინაც, როცა მან ჩვენ „ქართველი საზოგადოების გარეშე“ დაგვაყენა და საჯაროთ ითხოვდა ჩვენს „ქვით ჩაქოლვას“. მაშ რაშიგან ვართ?

საქმე ის არის, რომ ბ. გრ. აბულაძის „გამოცემათა და ბ. ალ. ასათიანის შესახებ“ ჩვენს ჟურნალში წერილები მოათავსა ორმა ისეთმა პირმა — ბ. ბ. ვლ. ემუხვარმა და დიმ. ჭიაბრიშვილმა — რომლებიც დიდის შერჩევით და დიდის პატიჟით თვით ბ. ა. ასათიანის მიერ იყვნენ ამ „ავვისტოს ყრილობაზედ“ მოწვეულნი. მათი წერილებიც, როგორც თავის დროზედ ჩვენი მკითხველიც წაიკითხავდა, უმთავრესად გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ როგორც ავტორები მაშინ აცხადებდნენ, ჟურნალმა „სამშობლომ“ მათი სიტყვები, ამ ყრილობაზე წარმოთქმული, შეცვლილად დაბეჭდა. მოკლეთ რომ ითქვას, პირადი საკითხის გამო, ჩვენს ჟურნალში წერილების დაბეჭდვა ისურვეს „ავვისტოს ყრილობის“ რჩეულმა წევრებმა, რომელიც მოაწყო „სამშობლომ“ და არა „კავკასიამ“. ეს წერილები დაიბეჭდა იმ დროს, როდესაც ბ. ვლ. ემუხვარი ჩვენი მუდმივი თანამშრომელი ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო ბ. დიმ. ჭიაბრიშვილი დღესაც არ არის.

ასეთია საქმის ვითარება ბ. გრ. აბულაძის „გამოცემათა და ბ. ასათიანის შესახებ“ და განსკუთრებით იმის შესახებ, თუ როგორ იბეჭდება „სამშობლოში“ ამა თუ იმ ყრილობის ოქმი, ვიმეორებთ, „კავკასიას“ თავისი არაფერი უთქვამს. მაგრამ „ავვისტოს ყრილობის“ მდივნისათვის ასეთი მართალი ამბავი არ არსებულა და მის მიერ შედგენილი ყრილობის ოქმის გამო, რომელიც თვით ყრილობის წევრებმა დაიწუნეს — ჩვენ გვიწყრება.

მერე რითი ასაბუთებს ჩვენი სწორ-უპოვარი „მდივანი“, რომ ბ. ბ. ვლ. ემუხვარის და დიმ. ჭიაბრიშვილის წერილები, ვსთქვათ, გაწყრა ღმერთი და „კავკასიის“ მიერ დაბეჭდილი, „ქორი“ და „ბოროტი ინსინუაცია“ არის?

ნაცვლად იმისა, რომ ბ. აბულაძეს, როგორც „ყრილობის მდივანს“ და მისი ანგარიშების შემდგენს, ეხლა მაინც მოეყვანა ყრილობის ნამდვილი ოქმი და საკითხი მოკლეთ მოექრა, ის ეკამათება ბ. ვლ. ემუხვარს, წერილების გამო, რომელიც მან შემდეგ „კავკასიაში“ დაბეჭდა (თითქოს ეს ყრილობის მდივნის საქმე იყოს!) ან მოჰყავს ბ. დიმ. ჭიაბრიშვილის კერძო წერილი, რომელიც, უკანასკნელს რამდენიმე თვის შემდეგ „ყრილობის“ პრეზიდიუმის წევრისათვის მიუწერია. ასეთი გარეშე მასალით სტენავს ის თავის წერილს, ამითი ავსებს ის თავის „ოქმს“ და, რა თქმა უნდა, ამითი მხოლოდ ადატსურებს ბ. ბ. ემუხვა-



რის და ჭიაბრიშვილის დებულებას, რომ „აგვისტოს ყრილობის მდივნების ხელობა უმთავრესად, მართლა, ყრილობაზედ არა წარმოთქმული სიტყვების „ჩაპროტოკოლება“ ყოფილა.

მარტო ეს კერძო წერილების გამომჟღავნება რადა ღირს?!



ფიც - დადებულნი

ეპიზოდები 4 მოქმედებად და 6 სურათად

მომქმედი პირნი:

ბელადი — როსტომ
 ბელადის დედა
 ბელადის ცოლი
 ბელადის პატარა ყრმა
 მარტია
 ფრიდონ
 რაუდენ
 მაყვალა
 სიმონ
 ტარიელ
 ავთანდილ
 გიგოლა
 ნოდარ
 თეიმურაზ
 შაქრო
 დიაკვანი
 გივი
 ხევსურა

ფიც დადებულნი


მოხუცებული, ტარიელის მამა

ფარსადან
 მე-2 აგენტი
 ჩეკის უფროსი
 სოფლელი ჩეკისტი
 თებრო, სოფლელი დედაკაცი
 გლეხები

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ძველებურად მორთულ ოთახს ტახტ-ხალიჩებით, კერით, კედლებზედ ძველებური იარაღია დაკიდებული. კერის გვერდით ზის ხნიერი მანდილოსანი; ტახტზე ახალგაზრდა ქალი და ხელსაქმეობს.

დედა — ერთი, გენაცვალოს დედა, მითხარი შვილო, დღეს რადა გაიგე?



- მარია** — (ხელსაქმეს გააჩერებს) აბა, დედა, კარგს რას გავიგებდი. ისევ ის უბედურებაა. ჩვენი საშველი, მე მგონია, არ არის!
- დედა** — ეხ, შვილო, რა დროში ჩავცვივდით! მე მგონია, შვილო, არც ერთ დროს არ გამოუვლია ასეთი გაჭირვება და უბედურება ჩვენ ქვეყანას!
- მარია** — მაინც რომ ჩემო დედილო, ოჯახს ვერა ნახავ რომ აწიოკებული არ იყვეს, ვისაც კი უბედურება თავს დაატყდა მედგრად იტანს, მაგრამ როდემდის?
- დედა** — დიახაც, რომ ვისაც უბედურება არ უნახავს, დაბარებულ ზედსავით ელის, უცხო და საშინელი მომავალის მოლოდინში ატარებს თავის დროს.
- მარია** — გასაკვირველია! ყველაფერს ვიტანთ, გაჭირებას, სიკვდილს, დატყვევებას, ერთი სიტყვით ყველა უბედურებას და ამდენ ხალხში ერთი მაინც არ გამოჩნდა, რომ ამ უბედურებას აუჯანყდეს?! ნუთუ იგივე ქართველები არა ვართ როგორც ვიყავით სააკაძის, ერეკლეს და ასეთი გმირების დროს? ნეტა ვიცოდე, რა გვიშლის ხელს რომ ვერაფერს ვბედავთ, ალბათ გადავგვარდით?
- დედა** — რუსეთი, შვილო, დიდი და დაუნდობელი სულთამხუთავია. ასასივით თავს გვადგა, აბა, რა უნდა გავაწყოთ იმის წინააღმდეგ.
- მარია** — არა, დედა, რაც უნდა დიდი და სულთამხუთავი იყვეს რუსეთი, ჩვენ მაინც ბრძოლა გვმართებს მის წინააღმდეგ!
- დედა** — დიახაც, შვილო, ბრძოლა არის საჭირო, მაგრამ ვაი თუ ტყუილად დავიჟლიტნეთ.
- მარია** — ხელ-ფეხ შეკრულებს მაინც არ დაგვხვრეტენ და ბრძოლაში დავიხოცებით.
- დედა** — ყველა რომ ეგრე ფიქრობდეს, შვილო, კიდევ იქნება გავაკეთოთ რამე, მაგრამ ხომ ხედავ, რამდენი მრუდე გზას დამდგარი ქართველია იმათ მხარეზედ?
- მარია** — რას წარმოადგენენ ისინი, ერთი მუჭის ტოლნი არიან!
- დედა** — ჰო, შვილო, მაგრამ პატარა თავი დიდ ქვევრს წაბილწავს ხოლმე. ამ ცოტა ხალხით რუსები ისარგებლებენ და ქართველებისვე წინააღმდეგ გამოიყენებენ.
- მარია** — მაშ მონები ვიყვეთ და უსიტყვოთ გველიტონ?
(შემოდის როსტომი. დაღვრემილი სახე აქვს. კერასთან ჩამოჯდება. ცოტა ხნის შემდეგ ადგება და დადის.)
- მარია** — რა იყო როსტომი, რაზედ ხარ დაღონებული, ცუდი ხომ არა გაიგე რა?
- დედა** — ავად ხომ არა ხარ შვილო?
- როსტომი** — არა, დედა (პაუზა).
- მარია** — რატომ ხმას არ იღებ, ხომ არა მოხდა რა?



როსტომ — მოხდა! თექვსმეტი საუკეთესო ქართველი ოფიცერი გავიყვანეს და დახვრიტეს!

დედა — უი, დამიდგა თვალები!

მარიამ — ვინ იყვნენ?

როსტომ — სულ ერთია. ქართველები იყვნენ! ოჰ, მეგობრებო, დაიცადეთ და საქართველო თქვენს სისხლს აიღებს, არ შეარჩენს თქვენს სიკვდილს. ჩემო საბრალო ტატო!

დედა — ტატოს რაზედ ახსენებ?

როსტომ — დიახ, დედა, ჩემი მეგობარი ტატო და ნიკოლოზიც ერივნენ. ბოლოს ხომ ყველა ჩემი ამხანაგი იყო!

დედა — უი, ჩემ თვალებს შვილო! ეს რა მესმის! საწყალი ტატო და ნიკოლოზი...

მაშ, ბარაქალათ, ჩვენო მკვლელებო! მაშ გადასწყვიტეთ, რომ ესე ნელ-ნელა გველიტოთ? ბარემ აიღონ და ყველა ერთად დაგვხოცონ, განა არ ემჯობინება?!... (ცოტა ხნის შემდეგ) შენ მაინც მოერიდე, შვილო, ლეკეთს მაინც გადადი ნათლულთან.

მარიამ — ჰო როსტომ, კარგს იზამდი. ჩვენ ქალები ვართ, არას დაგვიშავენ.

როსტომ — არა, ჩემო ძვირფასებო. მე სხვა აზრი მაქვს. მინდა სხვანაირად გარდავიხვეწო... მინდა ჩვენ მთებს, ჩვენ ტყეებს მივაშურო. შემცივა, მომშივა, თქვენ იქ არ მეყოლებით... მაგრამ ცა ქუდათ მექნება და დედამიწა ქალამნად! ჩვენი ქვეყნის ცა და ჩვენი ქვეყნის მიწა! დიახაც რომ წავალ და არც მარტო ვიქნები. ამხანაგები, მეგობრები, ქართველები გამომყვებიან... მაგრამ წავალ არა მარტო ჩემი თავის გადასარჩენად, არამედ რომ ქვეყნისათვისაც რამე გავაკეთო!

დედა — (შვილს ხელს მოჰკიდებს და დიდ ხანს თვალებში უცქერას) მართალს ამბობ, შვილო?!

როსტომ — მართალს, დედა, მართალს! მეტი ჯდომა აღარ შეიძლება. ქვეყანა აიკლეს, ხალხს ხოცავენ. ქონება მიაქვთ, ეკლესიებს ჰკეტავენ, ნამუსსა გვხდიან...

დედა — ბევრნი არიან, შვილო, დაგამარცხებენ.

როსტომ — დამარცხებას არ დავინანებ. ხელ-ფეხ შეკრულს მაინც არ დამხვრეტენ, ვიბრძოლებ კი სანამ სული მიდგია. (კარებს აკაკუნებენ).

მარიამ — (შემკრთალი) ვინ არის?

როსტომ — კარი გაუღე. თუ ისინი არიან ცოცხალის თავით არ დავენებდები! (მარიამი კარებს აღებს. შემოდინან ფრიდონ და რაჟდენ)

ფრიდონ — აქა მშვიდობა და გამარჯვება!

დედა — გამარჯვება და მშვიდობა, შვილებო!

როსტომ — ფრიდონ! რაჟდენ!

დედა — დაბრძანდით.

რაჟდენ — გმადლობთ. ისეთი დრო დადგა, რომ ქართველ კაცს აღარ დაედგომება. აღარავინა ზის. ყველა გაქცევაზეა, ყველა დამალვაზეა. გაიგეთ წუხელის ვინ დახვრიტეს?

როსტომ — გავიგეთ. ეს არის მაგაზე ვლაპარაკობდით.

ფრიდონ — ამბობენ ხვალ ოცდა ათს კიდევ დახვრეტავენო.

როსტომ — ვის?

ფრიდონ — დარდი ნუ გაქვს, არ შესცდებიან, სწორეთ იმას ვისიც ჯერია!

როსტომ — მერე?

ფრიდონ — მერე?

როსტომ — მაშ მე გეტყვით. რაკი მივეყვართ სჯობიან ჩვენ თითონ წავიდეთ

რაჟდენ — სად? როგორ?

როსტომ — გადავწყვიტე მთებში წავიდე და ბრძოლა დავიწყო. მსხვერპლი იქნება, მაგრამ იქნება ერმა გამოიღვიძოს და თავს უშველოს.

ფრიდონ — დიდი ხანია მაგ გადაწყვეტილებას დაადექი?

როსტომ — იმ დღიდან რაც მტერმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო. მაგრამ დროს უცდიდი და კაცს.

ფრიდონ — კაცს თუ კაცებს? ჩვენ ყველა შენთანა ვართ. ყველა შენი მეგობარი შენზედ ჩურჩულებს, ყველა შენ გასახელებს, ყველა ფიქრობს რომ ეს საქმე შენ უნდა ითავო. მაშ რად უცდი მათ, როცა ისინი შენ გიცდიან?! აი, ჩემი ხელი!

რაჟდენ — და ბევრი სხვისაც. შენ ოღონდ დაიძახე.

როსტომ — მე მზად ვარ. თუნდ დღესვე. გეუბნებით დედა ჩემის და ჩემი ცოლის წინაშე. მარიამ, მომიყვანე ჩემი ბიჭი. მინდა მის თავზედ დავიფიცო.

(მარიამს შემოჰყავს თავისი შვილი. როსტომი ხელში აიყვანს) გეფიცებით ამის თავს, რომელსაც არ ვიცი რა დაემართება, რომ მე მზადა ვარ!

ფრიდონი და რაჟდენ — ჩვენცა და სხვაც ბევრი!

დედა — შვილო ჩემო, ეგ შენ ერთხელ და სამუდამოთ გადასწყვიტე?

როსტომ — დიახ, დედა! როგორც შენ გულს ჩემ ხსოვნას ვერავინ მოსწყვეტავს, ისე ამ ფიქრს ჩემის გულიდან ვერავინ ამოიღებს.

დედა — ფრიდონ, შენც?

ფრიდონ — დიახ!

დედა — შენ რაჟდენ?

რაჟდენ — მეც და სხვებიც!

დედა — მაშ, შესდექით! (ჩამოიღებს ხანჯალს კედლიდან) აი, ჩემო შვილო! ეს ხანჯალი, იცი, შენი მამა-პაპის ნაქონია. ბევრი სამშობლოს მტერი უმუსვრია ამ პატარა ფოლადს, ამ ხან-



ჯალს ყოველთვის სამშობლოსათვის თავდადებული და ერთგული ქართველი ატარებდა. დღეს შენი ხვედრი შენვე ამოირჩიე და რადგან ხალხის საქმე გინდა აკეთო, ატარე და ჩემმა ლოცვა-კურთხევამ გდიოს თანა. შენს დამარცხებას ღმერთმა ნუ მომასწროს. არ მინდა რომ დამარცხდე და მე მგონია ჩემი ბებერი თვალები შენს დამარცხებას ვერ იხილავენ. ატარე სახელით და გამარჯვებით (ეხვევა და ჰკოცნის).

მარიამ — მეც წამიყვანე თან, როსტომ, აქამდის ერთად გვიცხოვრია და ერთადვე დავიხოცნეთ. მეც სიამოვნებით შევწირავ თავს შენთან ერთად სამშობლოს.

ფრიდონ — ქალბატონო მარიამ, აბა როგორ გეკადრებათ, თქვენ მინდილოსანი ბრძანდებით ნუ იკადრებთ, ეს მარტო მამა კაცებს გვევალება.

მარიამ — არა ჩემო ფრიდონ, ნუ იფიქრებ, საქართველოში თქვენ ისეთ ქართველ ქალს შეხვდეთ, სამშობლოსათვის სთავი არ გასწიროს.

რაუდენ — მაგაში დარწმუნებული ვართ, ქალბატონო მარიამ, თქვენ შვილი გყავთ, დედამთილი. თქვენც დიდი ვალი გაწვებათ ამიერიდან. მერე და რა ვიცით, იქნება თქვენ აქ უფრო დაგვიჭირდეთ. როცა როსტომი დარაზმდება, მაშინ ჩვენ თითონვე გაგიყვანთ მასთან. მინამ კი უნდა მოითმინოთ.

როსტომ — სჯობს ასე მოიქცე, ჩემო მარიამ.

ფრიდონ — აბა გამოვეთხოვოთ და წასვლის დროც არის.

დედა — მოდი შვილო გამოგეთხოვო. აი, ეს ატარე (ამოიღებს თილისმას და აძლევს. დელავს.) ეს მტრის ტყვიისაგან დაგიფარავს. ეხლა (აკოცებს) წადი და ღმერთი იყვეს შენი მფარველი. მშვიდობით.

მარიამ — ჩემო ძვირფასო, რადგან შენ გადასწყვიტე და არ მიგყევარ, მაშ ფიცი დავდოთ ერთი მეორესთან, რომ რაც უნდა მოგვივიდეს ჩვენ, შენ ყურადღებას არ მოგვაქცევ, თუნდა დაგვიჭირონ კიდევ. დაიფიცე! რატომ პასუხს არ იძლევი? (როსტომი ყოყმანობს).


როსტომ — ვფიცავ!

მარიამ — სასაკლაოზე რომ გაგვიყვანონ კიდევ, შენ არაფერ ზომებს არ იხმარ, რომ გავვათავისუფლო, რადგან შენ დღეიდან ხალხსა და სამშობლოს ეკუთვნი და არა მარტო ჩვენ!

როსტომ — ფიცს გაძლევ, ჩემო მარიამ, და კმარა, დამშვიდდი. (ბავშვს ეთხოვება). შვიდობით, ჩემო შვილიკო, შვიდობით.

ბავშვი — მამი, ცხენი და თოფი მომიტანე რუსობანა და ქართველობანა უნდა ვითამაშო ხოლმე.

როსტომ — მოგიტან შვილო.



(ჰკოცნის ცოლს, დედას და შვილს. როსტომ, ფრიდონ და რაქდენ გადიან).

დედა — დედა მოგიკვდა, შვილო!

(მარიამ ბავშვით მიუჯდება დედამთილს. ბავშვი ჩაიძინებს) ვინ იცის რამდენი შავი ღლე გაგიტენდება წვიმა ავდარში, რამდენჯერ დასველდება, რამდენჯერ მშიერი დარჩები და დასუსტებული მტერს შეებმევი. რა მოგელის შვილო! ლოგინად მიწა გექნება, საბნად კი ცა ღრუბლიანი, მოგიკვდა შვილო დედა. მაგრამ საქართველოს საქმეს აკეთებ შვილო და უნდა აიტანო....

მარიამ — აიტანს კიდევ, ჩემო დედა. მე ერთ წუთსაც არ მეექვება, რომ გაჭირება ვერ აიტანოს.

დედა — ეჰ, მაპატიე შვილო, გავკადნიერდი და მეშინიან, ვაი თუ გაჭირება ვერ აიტანოს — მეთქი. დედის გული...

მარიამ — ვიცი, ვიცი, დედავ! მესმის! რას იზამ, ყველა ამ ჭირ-ვარამში ვართ, საქართველოში ოჯახი არ დარჩა — უბედურება არ დასტყდომოდეს. გული გაიმაგრე დედა, ეხლა მე და შენ სიმამაცე გვმართებს (ეხვევა დედამთილს. ამ დროს კარებს უხეშად აკაკუნებენ)

დედა — ვილაცა კარს აკაკუნებს, შვილო, გახედე, ვინ არის, ამ შუა ღამისას.

მარიამ — ვინ უნდა იყვეს, ღმერთო, მტერი თუ მოყვარე?! (აღებს კარს. შემოცვივინ: ჩეკისტი ფარსადანი, მეორე ჩეკისტი და ორი ჯარისკაცი).

ფარსადანი — თქვენი შვილი, ბატონი ოფიცერი სადა ბრძანდება?

მარიამ — სახლში არ არის, ან რაში გესაჭიროებათ?

ფარსადანი — ეგ შენი საქმე არ არის! მითხარი სად არის მეთქი?

დედა — ვინა ხარ, შვილო, ან რა გინდა ჩემი შვილისაგან? (აღგილიდან არა დგება)

ფარსადანი — იმის ნაცვამი ხალათი, კაი შვილი რომ გყავს შენმა მზემ!

დედა — უკაცრავად, მაგრამ ჯერ გამაგებინე რა რჯულისა ბრძანდება, ქართველი ხარ თუ სომეხი? როგორც მახსოვს ჩემს შვილს შენისთანა ამხანაგები არა ჰყოლია...

ფარსადანი — რასა ჰბოდავ, ბებერო!

დედა — იმასა, შვილო, რომ თუ ქართველი ხარ მრუდე გზას დასდგომიხარ. ჩემს შვილს შენისთანა ქართველი ვერ დაიჭერს.

ფარსადანი — გაჩუმდი და მითხარი ხეირიანი პასუხი, სად არის შენი შვილი? (დედა ხმას არ იღებს. სომეხი აგენტი მიუბრუნდება მარიამს).

მე-2 აგენტი — ვა, არც შენ იტყვი სად არის ბ-ნი ოფიცერი, ვოჩინჩ!

მარიამ — ჯანაბას თქვენი თავი, რა ვიცი!

დედა — კიდევაც ვიცი სად არის და არც გეტყვით.



ფარსადან — გააჩერე ეგ ენა და მითხარი სად არის, თორემ ორთავს დაგიჭერთ.

მარიამ — თუ გინდა, დედა, უთხარი საცა არის. ეხლა შორს იქნება, ველარას დააკლებენ.

ფარსადან — როგორ თუ ვერას დააკლებენო?!

დედა — ჰო, და, ძალიანაც უბრალოდ. მე რომ გითხარი შენისთანა ქართველი ჩემ შვილს ვერ დაიჭერს მეთქი, ჩემი შვილი ტყეში გავიდა. დღეიდან ჩემი შვილი შენისთანა წუნკლიან და უგვარო ქართველებს და ამისთანა სომხებს გეომებათ. ეხლა გაიგეთ?!

მე-2 ჩეკისტი — რაო, ტყეშიო?

ფარსადან — რა ღობე ყორეს ედებით, სთქვით, სად არის მეთქი.

დედა — რა გაუზრდელი ხარ, შვილო, პატივი მაინც დაძმდე, მანდილოსანი ვარ.

მე-2 ჩეკისტი — მაშ ეხლა შენი შვილი ბანდიტია რაღა...

მარიამ — ბანდიტები თქვენა ხართ, იქნებ უარესებიც! განა ბანდიტობა არ არის, რომ შუა ღამისას გვაწიოკებთ, განა ბანდიტობა არ არის, რომ შუა დღისით, ხალხის დაუბრუნებლად ამდენ უდანაშაულო ხალხს ხვრეტამთ?! მაშ რა ხართ!!! თქვენ ბანდიტებზე უარესები ხართ! ჩემი ქმარი კი ქართველია და, სანამ პირში სული ედგმევა, თქვენისთანა ხალხი! დაუბრუნებელი მტერი იქნება. გაბედეთ და ის დაიჭირეთ თუ ვაჟაკები ბრძანდებით. ჩვენ დაჭერაში მარდები იქნებით რასაკვირველია!

დედა — ეგრე შვილო, ეგრე!

ფარსადან — დაწყვიტეთ ხმა, კრინტი მეთქი!

დედა — ჩემ სახლში ენას მაწყვეტინებთ თქვე არამზადებო, გინახამთ ქა!

ფარსადან (მეორე აგენტს) — მაშ ესენი დავატყვევოთ. მოემზადეთ და გამოგვყეთ ჩქარა.

მარიამ — ბავშვს რა უყო?

ფარსადან — ბავშვიც თან წამოიყვანე

დედა (ფარსადანს) — იქნებ ცოტა სინდისი კიდევ შეგრჩა და მარტო მე დამიჭირო, არ ემჯობინება?

ფარსადან — წავიდეთ, თქვენთან ყბედობის დრო არა მაქვს.


დედა — მარიამ, ბავშვს ნუ გააღვიძებ, ხელში ავიყვანოთ და ისე წავიდეთ.

მე-2 ჩეკისტი — მახლას, დიდი ხანია რაც შენი შვილი წავიდა?

დედა — დიდი ხანი რომ იყვეს წასული მაგ თავს დიდი ხანია გაგაგდებინებდა.

მე-2 აგენტი — (შიშით ფარსადანს) ამხანაგო, იქნება სჯობდეს ესენი არ დავიჭიროთ. ამათზე ორდერიც არა გვაქვს.

ფარსადან — შეშინდი, იმ ბანდიტისა გეშინია?



მე-2 აგენტი — მახლას, ჩვენც ხალხი ვართ და სტაფილო არა ვარ რომ ვირმა მამძოვოს და მეორეთ ამოვიდე.

ფარსადან — ამხანაგო, თუ არ გაჩუმდი, ყველაფერს უფროსს უამბობ.

მე-2 ჩეკისტი — არა, არა, ამხანაგო ფარსადან, ვხუმრობ... აბა, თქვენ, ეი, (მიუბრუნდება მანდილოსნეს) წავიდეთ რაღა!
(მანდილოსნები ბავშვს ხელში იყვანენ და გადიან)

ფარდა

(გაგრძელება იქნება)

ზურაბ ციციშვილი



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

უკანასკნელ ხანებში ბ-ნმა გ. გვაზავამ „გადათარგმნა“ „ვეფხისტყაოსანი“ და ამავე საგანზედ წაიკითხა ორი მოხსენება.

პირველ მოხსენებაში (ბულვარ სენ-ჟერმენზე), რომელსაც დალაგებული ელფერი ედო, ბ-ნი გვაზავა ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი არის ავთანდილი, როგორც გონიერების წარმომადგენელი და ტარიელი კი—მეორეხარისხოვანი, როგორც გრძნობათა დელვის ამყოლი სიგიჟემდე და დამთხვეული.

მეორე მოხსენებაში (ავენიუ ჰოშზე) კი, რომელიც ვერ დაელაგებინა, მთავარ გმირად გამოიყვანა ტარიელი და შეეკამათა ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომლითაც ვითომ სწორედ ავთანდილია პირველი პირი შოთას პოემისა.

ჩვენ არ ვიცით რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი, მაგრამ ბ-ნ გ. გვაზავას რომ ბულვარ სენ-ჟერმენიდან ავენიუ ჰოშამდე ერთი აზრი ვერ მიუტანია — გასაკვირველი არ არის იმისათვის, ვინც მის „თარგმანს“ ან მის მოხსენებათა შინაარსს გაეცნობა.

პირველი მოხსენება: ავთანდილია მთავარი პირი, რადგან, თუმცა უყვარს, მთელი პოემის განმავლობაში მტკიცედ მისდევს გონიერებას, ემორჩილება ლოლიკას და გახელებულ, სასოწარკვეთილ ტარიელის სიკვდილის პირამდე მიმყვან სიყვარულის კეთილად დამგვირგვინებელიც არის. ის თათბირობს, სჯის, ვაჟაკურად იბრძვის, უყვარს, არ-შიყოფს, მაგრამ გონებას და ანგარიშს არასოდესა ჰკარგავს. მაშინ როდესაც ტარიელი — ხელია ყველაფერში. უყვარს, იბრძვის, თუ ეძებს სატრფოს — მის მოქმედებაში, გონების მაგიერ ბრმა გრძნობისა, ტირილისა და სასოწარკვეთილების მეტი არა არის რა: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა“ და სხვ.



ყველაფერი ეს მართალია, ბ-ნ გვაზავასებური ლოლიკითაც დაღვრებული; თუ გნებავთ, გემოვნების საკითხიცაა, მაგრამ თვით პოემასთან არაფერი საერთო არა აქვს, რადგან არა მარტო სახელი „ვეფხისტყაოსანი“ ტარიელს ეკუთვნის, მთელი შინაარსიც ტარიელის გარეშემოა აშენებული და შოთას აზრი, სიმპატია და გეხიალური განსჭვრეტა სულისკვეთებათა და ზეშთაგონებრივი ხელოვნება, ხელი ტარიელის პიროვნებაზეა ყველაზედ ლამაზად ნაწრობი.

მეორე მოხსენება: აქ ბ-ნი გვაზავა შეეცადა გაეფართოვებინა ფარგლები „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობისა მსოფლიო ლიტერატურაში და უცნაური „რამეები“ წარმოადგინა.


რადგან მოხსენება არ იყო მწყობრად დალაგებული და პირველი ნახევარიც უფრო სუსტი ვიდრე მეორე, ჩვენს თავს ნება მივეციტ ასევე დაულაგებლად ამოვკრიფოთ მისი მარგალიტები.

ჯერ თავშივე განაცხადა, რომ ვეფხისტყაოსანზედ არავითარი გავლენა არ მოუხდენია არც აღმოსავლურს და არც დასავლეთის ლიტერატურას... „მართალია მე არ ვიცნობ აღმოსავლეთის ლიტერატურას და „შაჰნამეც“ სრულად არ წამიკითხავს („ვინ წამიკითხავს ბ-ბო, იქ ას ოცი ათასი ლექსია“) (sic!), მაგრამ გადავავალიერე აქა-იქ და არაფერი საერთო არა აქვს“-ო.

თითქო „შაჰნამეს“ მეტი, აღმოსავლურ ლიტერატურაში აღარაფერი ყოფილიყვეს და ისიც „აქა-იქ გადავავალიერებით“ შეიძლებოდეს ამოწურვა გინდ „შაჰნამეს“ გავლენისა, როცა არა მარტო ვისრამიანი, ლეილ-მიჯნუნიანი, ქილილა და დამანა და ათასი სხვა სპარსული, არაბული, ინდოეთური, საღვთისმეტყველო და სხვა და სხვ. ლიტერატურისა და ფილოსოფიის გავლენა არა მარტო აშკარად ეტყობა „ვეფხისტყაოსანს“, მთელი სულიერება, მხატვრული მოსართავ-ჩუქურთმები და ხანდაზან მთელი სტრიქონებიც გადმოტანილია იქიდან და „შაჰნამედანაც“ კერძოდ. და ყველაფერი ეს აძლევს უფრო აღმოსავლურ იერს გენიოსი შოთას ქმნილებას, ვიდრე დასავლურს, საიდანაც შოთამ მიიღო ნათლობა ლიტერატურულ-ფილოსოფიური - ჰომიროსის, პლატონის, ორთეოსის და სხვათა და სხვათა. იგი იყო აშკარად *initié*, თანამედროვე მეცნიერულ - რელიგიური შემეცნებით ამ სიტყვისა და 7—8საუკუნით გაუსწრო ევროპას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიის სინთეზის შექმნით თავის წარმტაც ლიტერატურულ ნაწარმოებში. მისი ჰენია არ იყო *deus ex machina*, როგორც წარმოდგენია ბ-ნ გვაზავას (თუ აქვს რამე წარმოდგენა საერთოდ), არამედ ის ტადარი, საცა ყველა ქვეყნის ღმერთებმა და მუზებმა თავისი საუკეთესო სამყოფი და ნაერთი იპოვეს. *)

ბ-ნ გვაზავას უმწეობა თუნდ იქიდანა სჩანს, რომ მისი სიტყვით,

*) ამის საცოდნელად საკმარისი იყო ნ. მარის, კ. კეკელიძის, ზ. ავალიშვილის და პრ. კარსტის წიგნების წაკითხვა მაინც, თითონ ლიტერატურისა თუ არა.



შოთამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის (სხვათა შორის ეს გაყოფაც „ქრისტიანული დასავლეთი და მუსულმანური აღმოსავლეთი“ მეტად პრიმიტიული იყო, მაგრამ ამაზედ ქვევით) საწინააღმდეგოდ, ღმერთი მიწაზედ ჩამოიყვანა. ეს იმ შოთამ, რომლის პირველი სიტყვა არის ღმერთზედ ასეთი განყენებული: „**რომელმან შეჰქმნა სამყარო**“... და დამახასიათებელი თვისებანი: „**უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო**“... „ერთარსებისა ერთისა, მის უყამოსა უამისად“ და სხ., სრულიად არა მიწიერი. და ეს მოსდის იმიტომ, რომ სრულებით ვერ არკვევს შოთა რუსთველის მკაფიო მსოფლმხედველობას და მკაცრ განსაზღვრას: — ღმერთი, განგება, ბედი, სოფელი, საიქიო და სხვ.— და გვაზავასებური იოლობით, ერთსა და იმავე ცნებათა ჯამში ათავსებს, როგორც სინონიმებს.

მე აღარას ვიტყვი იმაზედ, რომ „პლატონიური სიყვარულის“ ამბავი მიაწერა ბ-ნმა გვაზავამ სოკრატს, თუმცა ცნობილია, რომ პლატონი იყო მოწაფე სოკრატისა და იმას, რასაც „პლატონიურ სიყვარულს“ ეძახიან, აწერენ პლატონს.

მაგრამ ბ-ნმა გვაზავამ თითქო „ფოდრათით,, აილო ამ საღამოს უცნაურობათა — რბილად რომა ვსთქვათ — წარმოდგენა და ალბად დაავიწყდა, რომ სხვებს უსაყვედურა „ვ. ტ.-ის“ წინასიტყვაობის არ მიღება (თითონ მიღებული აქვს... და „თარგმანშიაც“ გადათარგმნილი) და როგორ უნდა შეარიგოს ლოდიკურად „არავითარი გავლენა“ და სწორედ წინასიტყვაობის „ესე ამბავი სპარსული“? ან იქნება სპარსეთი სადმე მარსზე აქვს გადატანილი, რომ აღმოსავლეთის მუსულმანური (?) ლიტერატურის გავლენის ქვეშ არ მოაქციოს?

ყველაზედ ორიგინალური იყო საერთო დებულება ბ-ნ გვაზავასი, რომ „ვ.ტ.-ში“ ქართველი ქალი კი არ არის დახასიათებული, არამედ საერთოდ ქალი, როგორც ასეთი და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ შოთას ქალები არც აღმოსავლეთის „სიამოვნების საგანს“ წარმოადგენენ, არც ჰომიროსის ელენეს (პასიურად რომ გადადის ერთი ხელიდან მეორეში), არც შექსპირის ჯულიეტას, არც ბეატრიჩეს, არც ანტიგონეს და ...ე.ს. არც ერთ აღმოსავლურ თუ დასავლურ ლიტერატურულ ტიპს და რაღაშია ამ ქალთა „საერთო“ ტიპიურობა — მის საიდუმლოებად დარჩა.

არც ეს აკმარა საზოგადოებას ბ-ნმა გვაზავამ და „მეთოდოლოგიურად“ დაადგინა ვ.ტ.-ის“ დაწერის ხანა შემდეგი შედეგით: „ვ.ტ.-ში არ იხსენიება ზარბაზანი, თუმცა ომი და ბრძოლა ბევრი სწარმოებს და ქაჯეთის ციხის აღების დროსაც არ აგონდება ტარიელსაო. მაშასადამე, ეს პოემა დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე ზარბაზანი ე.ი. თოფის წამალი გამოიგონესო, მე-12 საუკუნეს.

ამაზე ითქმის სწორედ: „გაუგონია, ალია მომკვდარაო და როგორ მომკვდარა ის კი აღარაო“, თორემ ათასობითაა ისეთი ნაწარმოები, საცა ზარბაზანის ხსენება არ არის იმის შემდეგაც, რაც თოფისწამალი დიდი ხნის მოგონილი იყო. ესეც არ იყოს, თოფისწამალი ჩინეთში მო-



გონილი იყო ევროპაზედ ადრე შვიდი საუკუნით მაინც (მართალია, იქ მარტო უშუხუნებზე ხმარობდნენ), საბერძნეთში იცნობდნენ „ბერძნულ ცეცხლს“, რომლითაც მტრის სამხედრო გემებს ანადგურებდნენ და კატაპულტებით რომაელნი (და სხვა ძველი ერები სხვა საშუალებით) ქვებთან ერთად, ცეცხლსაც აყრიდნენ მტრის ჯარსა და ციხე სიმაგრეებს. კატაპულტაც არ არის ნახსენები „ვ.ტ.-ში“, მაშ აქედან დავასკვნათ, ქრისტეს დაბადებამდეა დაწერილი „ვ.ტ.“?

ჩვენ კიდევ ჯერ ბავშვობისას გვასწავლიდნენ, რომ „არ არსებულადან დადებითი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება“. მაგალითად ასე: „თუ ბატონი გვაზავა პოეტი არ რის, აქედან არ შეიძლება დავასკვნათ რომ ის — მუსიკოსია“.

ბ-ნმა გვაზავამ სხვა ავტორებს უსაყვედურა რომ „წინასიტყვაობიდან თავისი ნებით გამოსტოვებენ ხოლმე ზოგიერთ ტაეპს, როგორც ყალბსაო“, ეს დაუშვებელია და... თავის თარგმანში... გამოუტოვებია ოთხი ტაეპი და იცით როგორ „დაასაბუთა“ ეს ავტოპრივილეგია თავის მოხსენებაში?

„მაგ., მეთვრამეტე ტაეპი იმიტომ გამოვტოვე, რომ არ შეიძლება შოთას ასეთი სისულელე ეთქვას-ო:

„მუშა მიწყვიტე მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;

კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“..

რადგან მუშა, მეომარი, ეს პროფესიებია, რომლითაც კაცი ფულს შოულობს და მიჯნურობა რა პროფესია არისო? წარმოვიდგინოთ რომ გოლოვინის პროსპექტზე ყმაწვილი მოდისო და როცა ჰკითხავენ: რა პროფესია გაქვთ? ის (აქ ბ-ნმა გვაზავამ ძალიან მოხდენილად, ღილები შეიკრა, პროფესიონალური გამოცდილებით გაიარ-გამოიარა თავისებური მიხვრა-მოხვრით და ხალხი გააცინა) ეტყვის: „მიჯნური ვარო“.

მოგაგონდებოდათ ის დრო, როცა ბნი გვაზავა ცილინდრით დაიარებოდა ტფილისში, ახლად პარიზიდან ჩამოსული, „ჟორჟ დე პარის“ სახელით, ან როცა ფუტურისტულ ლექსებსა სწერდა:

„გოგო, როგო, მოგო

კუროკი და ტოგო“...

თორემ არც შოთას, და არც სარაინდო რომელიმე პოეზიას, რომელსაც ბ-ნი გვაზავა არც იცნობს და არც ესმის, რასაკვირველია „ფულის მომგებ პროფესიად“ მიჯნურობა — არავის მეთვრამეტე ტაეპში არ გამოუყვანია.

მარტო ბ-ნ გვაზავას შეეძლო ასეთი დასკვნის გამოტანა, სხვისთვის მიწერა (გინდ შოთასი არ იყოს ეს ტაეპი) და ამ მიზეზით გამოტოვება, თორემ იქ აი რა სწერია:

„...კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,

არცა ვისგან დაიწყუნოს, არცა სხვათა უწყუნობდეს“.

და „სიყვარულის რაინდებზედ“ ლიტერატურასა თუ ცხოვრებაში, ალბად წარმოდგენაც არა აქვს.

მოგაგონებთ, რომ ბ-ნმა გვაზავამ მაშინდელი მსოფლიო დაპყო



ქრისტიანულ დასავლეთად და მუსულმანურ აღმოსავლეთად და ამ პრი-
მიტიული მსოფლმხედველობიდან გამორჩა არა მარტო თანადროული
არაბეთი, რომლის ძალა და კულტურა ჯერ კიდევ მძლავრობდა ხმელ-
თაშუა ზღვის არეებში ისპანიამდე, გამორჩა ინდოეთი და ჩინეთი, საცა
ბრამანიზმმა, კონფუციონიზმმა და სხვა რელიგიურ - კულტურულ ძი-
რებიდან საუცხოვო ლიტერატურაც დაგვიტოვა (არა მუსულმანური);
დაავიწყდა წინა დროების ცივილიზაციაც ასირო - ბაბილონისა, ეგვი-
პტისა, საბერძნეთისა და სხვ. ყველა წარმართული ან სპარსეთის ცე-
ცხლთაყვანისცემის რელიგია, ფილოსოფია, კულტურა, ლიტერატურა,
რომელსაც შოთა, მისი ნაწარმოების მიხედვით (ბიოგრაფიასაც რომ
თავი დავანებოთ), ბ-ნ გვაზავაზედ ალბად ცოტა უკეთ იცნობდა, იჟლი-
ნთებოდა და სინთეზსა ჰქმნიდა, როგორც ბუმბერაზი ადამიანი ბუმბე-
რაზ ნაწარმოებს. „დიდი ძეს კაცით კაცამდე.“

და იცით რითი დაასრულა პატივცემულმა მომხსენებელმა მოხსე-
ნება „ვ.ტ-ზედ“? არ გაგეცინოთ: „ვ.ტ.“ თავდება ბურჟუაზიული ოჯა-
ხის დაარსებით“-ო...

ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ შოთა რუსთაველი „დაბალი წოდებიდან“ გა-
მოიყვანა, მისი ტერმინოლოგიით ნესტან-დარეჯანმა ტარიელს „დირე-
ქტივა“ მისცა და ტარიელმაც „ტერორი მოახდინა“... ცოტა კიდევ და
„სამიდღემჩიოდ“ მენშევიკური პარტიის წითელი ბილეთი აღმოაჩნდე-
ბოდა, ჯიბეში, ნესტან-დარეჯანის რიდეს მაგიერ მკვლავზედ; და ბ-ნმა
გ. გვაზავამ „ბურჟუაზიული ოჯახით“ გაათავა... ალბათ რაკი „გაერ-
თიანებულ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის“ ბურჟუაზიულ ნაწი-
ლს ეკუთვნოდა, თორემ „რადიკალების“ ან „უპარტიოთა“ ნაწილს,
რომ ჰკუთვნებოდა, — უპარტიო ლეკურით, ან რადიკალურ ჯამბაზო-
ბით გაათავებინებდა საწყალ რუსთაველს „ვ.ტ-ნს“; ან „ეროვნულ“
ნაწილში რომ ყოფილიყო, ვეშაპელის სათვალეებსაც ჩამოაცვამდა ავ-
თანდილსა და ტარიელს.

რევაზ გაბაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პანაშვიდი

გასულ ივნისის 26-ს, სენტ-უანის სასაფლაოზედ, შეფიცულთა თა-
ოსნობით გარდახდილ იქმნა, ჩვენი ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლო-
ყაშვილის სიკვდილის რვა წლის თავი.

მწირველი იყო პარიზის ბერძენთა ეკლესიის არხიმანდრიტი. პა-
ნაშვიდს დაესწრო მრავალი ქართველობა. განსვენებულის საფლავი
მრავლად იყო შემკული ცოცხალი ყვავილებით. საფლავზედ სიტყვა
წარმოსთქვა შ. ამირეჯიბმა.

წერილი „კავკასია“ს რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ ორგანოში („კავკასია“, № 3-10, მარტი 1938) მოთავსებულია ბ-ნი გრიგოლ დიასამიძის წერილი სათაურით: „ირრიდენტას გარშემო“. ბ-ნი დიასამიძე სხვა ამბავთა შორის მოუთხოვს მკითხველს 1933 წ. 10 ივნისს ბერლინში ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის დაარსების შესახებ.

ემყარება რა პატივცემული ავტორი „თეთრი გიორგი“ში გამოქვეყნებულ ცნობას, სწერს: „დამაარსებელნი ყოფილან: მიხეილ წერეთელი, დავით ლამბაშიძე, შალვა ქარუმიძე, ოთარ წერეთელი, ალექსანდრე ნიკურაძე, მიხეილ კაჩუხაშვილი, რომან მკურნალი, ტიტე მარგველაშვილი და სხვები. მიხეილ კაჩუხაშვილში ნაგულისხმევი ვარ მე, რადგანაც არც იმ ხანებში და არც შემდეგ ბერლინში ვინმე კაჩუხაშვილი არ ყოფილა და ამას გარდა, რაკი „თეთრი გიორგიში“ არის ნახსენები კაუხჩიშვილი, ცხადია, აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. აღვნიშნავ რომ „თეთრი გიორგიში“ კაუხჩიშვილი შეტანილია სახელის ყოველგვარი ინიციალის გარეშე.

ამით ვაცხადებ, რომ 1933 წლის 10 ივნისს ბერლინში „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ დაარსების საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, არც ვყოფილვარ შემდეგში ამ ორგანიზაციის წევრი.

„თეთრი გიორგიში“ გამოქვეყნებული კაუხჩიშვილი არის ჩემი თანამოგვარე ბ-ნი ვილლი კაუხჩიშვილი, რომელსაც ბ-ნი დიასამიძე კარგად იცნობს.

1933 წლის 10 ივნისის კრების მთავარი მომხსენებელი ბ-ნ ვლ. ახმეტელთან ერთად ბრძანდებოდა ბ-ნი გრიგოლ დიასამიძე და მაშასადამე როგორც ერთ-ერთ მთავარ ინიციატორს ამ კრებისა არ უნდა დავიწყებოდა, რომ მასთან ერთად იქ მიღებულ რეზოლუციაზე ხელი არც მე მომიწერია. ხშირად ყოფილა ჩვენ შორის ეს ამბავი ბაასის საგნად.

პატივისცემით მიხეილ კაუხჩიშვილი

ჟურნალი „კავკასია“ს შემდეგი ნომერი, მარიამობისთვისა და ენკენისთვისა, გამოვა ერთად — ენკენისთვის.

რედ.